



კანონთა და განკარგულებათა პრეზრი

ამიერკუბეასის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის
მარტის 16.

№ 5

განყოფილება პირები

ა/კსფსრ სახალ. კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართვე-
ლობის მიერ გამოცემული.

ზ 0 6 1 5 რ ს 0:

- მუხ. 35. სოციალური დაზღვევის გირასახადის დავალიანების დაფარვის შესახებ.
 „ 36. საკურედიტო დისკიპლინის გაძლიერებისა და გლეხ-მოსახლეობის სახსარის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში მობილიზაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
 „ 37. 1928/29 საბიუჯეტო წლისთვის საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების შესახებ.
 „ 38. დებულება მტკვარ-არაქსის ბასეინის წყლის ოესურსების გამოყენების სქემის შემდგენელ სამართველოს შესახებ.
 „ 39. ა/კსფსრ ტერიტორიაზე სასელექციო მეთესლეობის მოწყობისა, დაფინანსების წესისა და სოფლის მეურნეობაში სასელექციო და ჯიშიანი თესლეულის გავრცელების შესახებ.
 „ 40. სასარეწაო კოოპერაციასა და შრომის არტელში, შინამრეწველებთან და ხელოსნებთან არსებული შეგირდობის წესების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.
 „ 41. 1928/29 წლის სამშენებლო სეზონისათვის მომზადების ღონისძიებათა შესახებ.
 „ 42. საწარმოთა და საგაჭროთა ფირმისებისა და საფირმიშო წესების დარღვევისა და სარეგისტრაციო მოწმობების წარუდგენლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.
 „ 43. შრომის კანონთა კოდექსის შეცვლის შესახებ.
 „ 44. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 187, 188, 189 და 190 მუხლების შეცვლისა და 189¹, 189², 189³, 189⁴, 189⁵, 189⁶, 189⁷, 189⁸, 189⁹ მუხლების შეცვების შესახებ.
 „ 45. ცირკულიარი ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა — სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა არქივებიდან მაკულატურის გამოყოფისა და ქაღალდის სინდიკატისათვის გადაცემის შესახებ.
 „ 46. დაწესებულებებში ქაღალდის ეკონომიკურად გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
 „ 47. დებულება ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეწაობისათვის წიაღთა სარგებლობის პრინციპების შესახებ.
 „ 48. მშენებლობის სატექნიკო კომიტეტების სახელწოდების შეცვლის შესახებ.

დადგენილება № 108 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

35. სოციალური დაზღვევის გადასახადის დავალიანების დაფარვის
შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ ყველა უწყებას:

ა) მიიღოს ლონისძიება სოციალური დაზღვევის გადასახადის იმ დავალიანების დაფარვისათვის, რაც ირიცხება მასზედ და მის ქვემდებარე სამეურნეო ორგანოებზე ამა დადგენილების გამოცემის მომენტისათვის, იმ პირობით, რომ ეს დავალიანება დაფარულ იქნეს არა უგვიანეს 3-თვის ვადისა ამა დადგენილების გამოცემის დღიდან;

ბ) დააწესოს სოციალური დაზღვევის ორგანოებთან ერთად „ა“ პუნქტში განსაზღვრული პერიოდის ფარგლებში ზედმიშევნითი ვადები სოციალური დაზღვევის გადასახადის დავალიანების დაფარვისათვის.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დავალიანების გასტუმრებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს სოციალური დაზღვევის გადასახადის მიმდინარე შესატანი თანხების თავის დროზე გადახდაზე.

3. მეთვალყურეობა ამა დადგენილების უწყებათა მიერ შესრულებისათვის დაეკისროს ა/ქსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ორგანოებს.

4. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკური მინისტრი მიშენელობის უწყებათათვის.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. თებერვლის 21. ტფილისი-სასახლე.

გამოქვენებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 52 №-ში 1929 წ. მარტის 6-ს.

დადგენილება № 106 პ/კს უსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

36. საკრედიტო დისციპლინის გაძლიერებისა და გლეხ-მოსახლეობის სახსარის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში მობილიზაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენის:

I. აღნიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საკრედიტო ბრუნვაში აქამდე არამც თუ მონაწილეობას არ იღებს მოსახლეობა თავისი სახსარით საპაიო და სპეციალური შენატანისა და ანაბარის სახით, არამედ არც სახელმწიფოს მიერ მოთავსებული სახსარია სრულად გამოყენებული იმის გამო, რომ მეტისმეტად გაიზარდა მოსახლეობის მიერ აღებული სესხის ვადაზე გადაუხდელობა, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში (1.894.000 მანეთიდან, რაც 1928 წ. ივლისის 1-თვის იყო, 4.000.000 მან. 1929 წ. იანვრის 1-თვის, ე. ი. 110 პროცენტით საპირველადო ქსელში და 1.803.000 მანეთიდან 3.055.000 მან. ან 69% სას.-სამ. ბანკებში).

II. ცნობილ იქნეს, რომ შემდეგისათვის სას.-სამ. საკრედიტო სისტემის სახსართა ასეთი მდგომარეობის განგრძობა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც იგი აქარწყლებს სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის სფეროში მიღებულ ღონისძიებათ.

III. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სას.-სამეურნეო ბანქს,—რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრებთან და რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან ერთად,— მოაწყოს და განახორციელოს ორი თვის განმავლობაში ფართო კამპანია მოსახლეობის სახსარის მობილიზაციისათვის სას.-სამეურნეო კრედიტის სისტემაში, კერძოდ, სესხის გადახდის ვადის გადაცილებისა და ზარალის ლიკვიდაციისათვის და პირველადი ქსელის საპაიო და სპეციალური კაპიტალებისა და ანაბარების გადიდებისათვის, რასაც საფუძვლად დაუდვას შემდეგი:

ა. საკრედიტო დისციპლინის გაძლიერებისათვის.

1. სოფლად აღსნა-განმარტების კამპანიის ჩატარება სესხის გადახდის ვადის გადაცილების სასწაულო წესით ლიკვიდაციის საკითხების გამო და ამ კამპანიაში სოფლის აქტივის ფართოდ ჩაბმა.

2. იმ შემთხვევების გამოაშეარვება, როდესაც სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების მიერ სესხი გაცემულია სას.-სამ. კრედიტის სისტემის ზემდგომი ორგანოს მიერ დაწესებული ვადის შემოკლებით და, უკეთ ასეთი შემთხვევა აღმოჩნდება, ხელახლად ჩამოყალიბება სესხისა სათანადო ვადით.

3. სოფლის აქტივის მონაწილეობით იმ პირთა გამოაშეარვება, რომელიც ბოროტი განზრახვით არ იხდიან სესხს, და სასწაულო წესით ვალის გადადევინება მოვალის ქონებიდან.

4. ყველა, გამოუნაკლისად, ვადაგადაცილებულ სესხზე სასწრაფოდ სასამართლოს ბრძანებისა და აღსრულების ფურცლის მიღება და გადახდევინებისათვის წარდგენა.

5. უპირველეს ყოვლისა პრაქტიკაში შემოლება — კამპანიის დროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში (განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც უფრო მეტია დროზე გადაუხდელი სესხი) სასამართლოს სპეციალურ აღმასრულებლების ყოლა სას.-სამ. კრედიტის სისტემის ხარჯით.

6. სას.-სამ. კრედიტის საბანკო ორგანოებში საკრედიტო-საფინანსო ხასიათის ზედმოქმედების ღონისძიებათა პრაქტიკაში შემოლება, რომლის მიხედვითაც ახალი კრედიტის გაცემა დამოკიდებული უნდა იყოს წინად გაცემული სესხის დაფარვაზე და საკრედიტო დისკიპლინის მტკიცე დაცვაზე; აგრეთვე, ფართოდ ბრძოლის წარმოება სას.-სამეურნეო ბანკების ყველა კლიენტის წინააღმდეგ სესხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის, რისთვისაც საპროცესტოდ უნდა იგზავნებოდეს ყველა ვადაგადაცილებული ვექსილი, თუნდაც ვალდებულება სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებისა იყოს, და ყველა ეს უნდა ეცნობოს მთლად საპირველადო ქსელს.

უკეთუ სას.-სამ. კრედიტის დაწესებულება, კერძოდ, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა, თავის ვალდებულებას პროცესტამდე მიაღწევინებს, ასეთ დაწესებულებას კრედიტი უნდა დაეხუროს და, ამასთან ერთად, მიღებულ უნდა იქნეს სათანადაც ღონისძიება, რათა დაწესებულების მოქმედების რაიონში გეგმიან ღონისძიებათა განხორციელება მოხდეს სხვა საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით ან სხვა-რამ ხერხით, სას.-სამ. კრედიტის სისტემის ზემდგომი საფეხურის შეხედულებისამებრ.

7. წინადადება მიეცეს სას.-სამ. კრედიტის ქვედა ქსელს — შეუფარდოს იმ მსესხებელთ, რომელნიც სესხს ბოროტი განზრახვით არ იხდიან, უფრო მკარიღონისძიებანი. — მათი მეურნეობებისათვის სრულიად კრედიტის დახურვამდეც, ხოლო ცალკე შემთხვევაში — ამხანაგობის წევრობიდან გამორიცხვამდეც-კა.

8. შეფარდებულ იქნეს სესხის ვადამდე გადახდევინება იმ მსესხებლებისათვის, ვინც სესხი არადანიშნულებისამებრ გამოიყენა.

9. სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების საბჭოების დაფგენილებით ვადამდე ვადაკხდეთ სესხი შეძლებულ და კულაკურ ელემენტებს, რომელთაც იგი არაკანონიერად მიეცათ სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის მიერ წინააღმდეგ სას.-სამ. კრედიტის სისტემის ხელმძღვანელი ორგანოების დირექტორებისა.

10. კატეგორიულად აეკრძალოს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათ ცალკე მიზნობრივი დანიშნულების დაკრედიტების ვადების შემცირება იმ ვადებთან შედარებით, რაც განსაზღვრულია საამმიზნო სესხთათვის; აგრეთვე გაძლიერებულ და განვითარებულ იქნეს ფორმები საზოგადოებრივი კონტროლისა სესხის დაინიშნულებისამებრ გამოყენებისათვის, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათ რწმუნებამოსილ წევრებისა და სოფლის აქტივის დახმარებით.

ბ. სახსარის ანაბარებად მოთავსებისათვის.

1. ჩატარებულ იქნეს სოფლის ფართო აქტივის მონაწილეობით, ალსნა-განმარტების კამპანია იმ საკიონების გამო, რომ საჭიროა სოფლის მოსახლეობამ და ორგანიზაციებმა მოათავსონ სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებში ანაბარების სახით ყველა თავიანთი დანახვი და ღროებით თავისუფალი სახსარი; თანაც ფართოდ უნდა ეუწყოს მოსახლეობას, რომ შთავრობა საესებით უზრუნველყოფს ყველა ანაბარის ხელუხლებლობას ცენტრალურ სასოფლო-სამერნეო ბანკში არსებული საგარანტიო ფონდით.

2. თვითეული სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის შესახებ, მისი მუშაობის მდგომარეობისა და მისი მოქმედების რაონის პირობების მიხედვით, მოცემულ უნდა იქნეს მტკიცე საკონტროლო ციფრები, მათი განხორციელების საკალენდრო ვადების აღნიშვნით, იმ პირობით რომ ანაბარების სტაბილური ნაშთი მიმდინარე წლის ბოლოს გადიღებულ იქნეს ერთი-ორად მაინც.

3. სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებისათვის ახალი კრედიტების გახსნის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს მათ მიერ ანაბარების შემოკრების სფეროში აღნიშნული საკონტროლო ციფრების შესრულება.

4. დავვალოს ყველა კოლექტიურ მეურნეობას, სასოფლო-სამეურნეო და საშინამრეწველო-სასარეწაო კოოპერატივს და საგლეხო მეურნეობათა მარტივ შენაერთს მთლად თავიანთი თავისუფალი სახსარი შეინახონ ანაბარების სახით სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებში, უკეთ ეს სახსარი შემნახველ სალაროებში არ ინახება ან მოთავსებული. არ არის სახელმწიფო სესხში.

5. სასოფლო-სამეურნეო ბანკებმა უნდა გაავრცელონ მთლად საპირველადო ქსელზე საღასახლვეო კრედიტების გახსნის პრაქტიკა იმ შემთხვევისათვის, ვინიცობაა ანაბარები მასსიურად იქნება მოთხოვნილი.

6. შემოლებულ იქნეს ყველა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობაში პრაქტიკა მიზნობრივი ანაბარებისა და იმ იგანსების მიღებისა, რაც დანიშნული იქნება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, გაუმჯობესებული თესლეულისა, მუშა-საჭონლისა, საყოლი (სარგო) საქონლისა და წარმოების სხვა საშუალებათა შესაძნად; ამ მიზნით დატოვებულ უნდა იქნეს ამხანაგობებში შესანახად ნაწილი იმ ფულისა, რაც ერგებათ წევრებს კონტრაქტაციით და გასაღების ოპერაციების მიხედვით ჩაბარებული პროდუქციისათვის; ამასთანავე, ამხანაგობის წევრები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მით, რომ ისინი თავის დროზე მიიღებენ წარმოებისათვის საჭირო საშუალებას, ხოლო გატივებულ წევრებს, ამის გარდა, მიეცემათ საჭირო კრედიტი მათ მიერ დაზოგვილი საკუთარი სახსარის დამატებად.

7. მოსახლეობასა და ყველგვარ სპეციალურ სას.-სამეურნეო კოოპერაციასა და დამზადებელ ორგანიზაციებს შორის ფულადი ანგარიშის გასწორება უნდა სწარმოებდეს უპირატესად სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში, იმ პირობით, რომ ანგარიშის გასწორების მომენტი სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა გამოიყენონ მოსახლეობის ანაბარების მისაზიდად.

8. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკსა და რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს - ვალდებულჲყონ მათ მიერ და-

კრედიტებული ყველა ორგანიზაცია და დაწესებულება, რათა თავიანთი თავი-სუფალი სახსარი შეინახონ სას.-სამეურნეო ბანკების მიმღინარე ანგარიშზე.

გ. პაიებისა და სხვა სპეციალური შესატანის შეკრეფის გაძლიერებისათვის.

1. ჩატარებულ უნდა იქნეს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების მეპაიეთა სპეციალური კრებები საპაიონ შესატანის რაოდენობის გადიდებისა (არა ნაკლებ 15 მანეთისა, როდესაც შესასვლელი შესატანი 1 მან. ნაკლები არ არის), შეძლებულ და საშუალო შეძლების მქონე ფენებში სრული საპაიონ შესატანის შეგროვებისა და აგრეთვე სპეციალურ კაპიტალებში ცალკე შესატანების შეგროვებისათვის ისეთი რაოდენობით, რაც ამხანაგობის წესდებასა და მოქმედების მოცულობას შეესაბამება.

2. იმ სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა, რომელთაც ბალანსზე წარსული წლების ზარალი აქვთ, იმავე კრებებშე უნდა ჩატარონ, წესდების თანახმად, ზარალის ამხანაგობის ყველა წევრთა შორის განაწილება; თანაც ღარიბ მეურნეობათათვის გათვალისწინებული უნდა იყოს შეღავათები და ვალის განაწილება ზარალის დასაფარევად ფულის შეტანაში.

3. იმ სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა წასახალისებლად და გასაძლიერებლად, რომელიც საპაიონ შესატანს წარმატებით მოაგროვებენ, დაევალოს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიის სას.-სამ. ბანკს—წელიწადში ორჯერ—აპრილის 1-ის ბალანსით და ოქტომბრის 1-ის ბალანსით—სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტში დასაბრუნებელ სპეციალური დანიშნულების სახსართა მიმართ გადარიცხონ გრძელვადიან სესხად, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა ძირითადი კაპიტალების გასაძლიერებლად, იმ თანხის რაოდენობით, რაც უდრის მათი საპაიონ კაპიტალების ნახევარწლის მონამატს.

4. მოეწყოს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა მეშვეობით სპეციალური შესატანის მოგროვება მოსახლეობაში სას.-სამ. პროდუქციის გადამუშავებელ კომპრატიულ საწარმოთა ასაგებად; ამასთანავე საინდუსტრიალიზაციონ ღონისძებათა დაკრედიტება უნდა სწარმოებდეს იმ პირობით, უკეთუ თვით მოსახლეობა მოათვეშებს ამ საქმეში თავის სახსარს.

IV. ვადაგადაცილებულ სესხთა შეგროვება და დაკვრითი კამპანიები ანაბარების შესაკრებად და საპაიონ და სპეციალური კაპიტალების გასადიდებლად დამთავრებულ უნდა იქნეს 1929 წ. აპრილის 1-თვის.

შემდეგში სას.-სამ. კრედიტის სისტემის მუშაობა ისე უნდა იქნეს აგებული, რომ—სესხის საქმის წესიერად დაყენებისა, მსესხებლებისაგან სესხის თავის დროზე გადახდის მტკიცე მოთხოვნისა და მოსახლეობის სახსარის მობილიზაციისათვის შეუწყვეტილ და მკაფიო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად—თავიდან აცილებულ იქნეს დაკვრითი კამპანიების ჩატარების საჭიროება ვადაგადაცილებული სესხისა, პაიებისა და ანაბარების შეკრეფისათვის.

V. მიენდოს ა/კსტრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკურების მთავრობებს შეიმუშაონ ამა დადგენილების საფუძველზე მთელი რიგი კონკრეტული

პრაქტიკული ღონისძიებანი მოსახლეობის სახსარის მობილიზაციისათვის სას.-სამ. კრედიტის სისტემაში.

VI. მიენდოს ა/ქსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს,— ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან და ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკთან შეთანხმებით,— საკითხი იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც მთაწესრიგებს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებსა და დამშანებელ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობას იმის თაობაზე, რომ ამ ამხანაგობების მსესხებელთ დაეჭიროს ვადაგადაცილებული ვალი მათ მიერ ჩაბარებული პროდუქციისათვის ანგარიშის გასწორების დროს.

VII. აღიარებულ იქნეს, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის თვითეული დაწესებულებისა და თვითეული სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის წარმატებით მუშაობის საზომად ჩაითვლება მათ მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღწეული პრაქტიკული შედეგები მოსახლეობის სახსარის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებში შემოკრეფისა და ვადაგადაცილებული ვალების ლიკვიდაციის საქმეში.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. ობერვლის 7. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 57 №-ში 1929 წ. მარტის 8-ს.

დადგენილება № 104 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

37. 1928/29 საბიუჯეტო წლისთვის საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტის შესახებ.

1. ცენტრალურ კომუნალურ ბანკთან ხელშეკრულებების დასადებად—ქვისა და აკურის საცხოვრებელი შენობის ერთი კუბიკური მეტრის ღირებულების ლიმიტი 1928/29 წლისთვის ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით:

ნომერი		რესპუბლიკები		
		აზერბაიჯანის სსრ	სომხეთის სსრ	საქართველოს სსრ
	დედა-ქალაქებისათვის:			
1	ბაქო, ტფილისი, ერივანი . . .	17.50	16.00	16.00
2	სხვა ქალაქებისა და ადგილებისათვის	17.00	16.50	16.50

შენიშვნა 1. საცხოვრებელი შენობის კუბიკური მეტრის აღნიშნულ ღირებულებაში არ შედის წყალსაღენისა, კანალიზაციისა და ორთქლით გათბობის მოწყობის ხარჯები.

შენიშვნა 2. აღნიშნული ლიმიტები არა ვრცელდება ამიერკავკასიის რეინისგზების საბინაო მშენებლობაზე, რასაც ცენტრალური კომუნალური ბანკი აკრედიტებს განსაკუთრებული შეთანხმების მიხედვით.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიკურ თათბირებს—დაავალონ ყოველ იმ უწყებას და ორგანიზაციას, რომელიც-კი მშენებლობას აწარმოებდა, წარუდგინოს 1929 წ. აპრილის 1-თვის სათანადო სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს დაწვრილებითი ანგარიში სამშენებლო სეზონის შედეგების შესახებ, რომელ ანგარიშშიაც აუცილებლად გამორკვეული უნდა იყოს მშენებლობის ძირითადი ელემენტები: საქმეში მოთავსებული თანხის რაოდენობა, შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, მუშა-ძალით და მასალით მომარაგების მდგომარეობა და მიღწევანი მშენებლობის გაიაფების სფეროში. აღნიშნულ ანგარიშში ცალკე გამოყოფილ უნდა იქნეს ცნობები საბინაო მშენებლობის შესახებ და გაშუქებულ უნდა იქნეს საცხოვრებელი შენობის 1 კუბ. მეტრის ფაქტიურად გამორკვეული ღირებულება.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ყველა იმ უწყებასა და ორგანიზაციას, რომელიც 1927/28 წელს სამშენებლო მუშაობას აწარმოებდა, წარუდგინოს ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტს მე-2 მუხ. აღნიშნული ცნობები 1929 წ. აპრილის 1-თვის.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სატეხნიკო - სამშენებლო კომიტეტს:

ა) რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტებისაგან (მუხ. 2) და ამიერკავკასიის ორგანოებისაგან (მუხ. 3) მიღებული მასალების მიხედვით წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მაისის 1-თვის თავისი მოხსენება 1927-28 წლის სამშენებლო სეზონის შესახებ;

ბ) ფაქტიური ლირებულების შესახები საანგარიშო ცნობების შენოშვების საფუძველზე—შეიმუშაოს საბინაო მშენებლობის ლირებულების ლიმიტი ერთ კვადრატულ მეტრ სივრცეზე.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. თებერვლის 14. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 109 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

38. მტკვარ-არაქსის ბასეინის წყლის რესსურსების გამოყენების სქემის შემდგენელი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოლებულ იქნეს შემდეგი დებულება მტკვარ-არაქსის ბასეინის წყლის რესსურსების გამოყენების სქემის შემდგენელი სამმართველოს შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. თებერვლის 21. ტფილისი—სასახლე.

დებულება მტკვარ-არაქსის გასეინის წყლის რესსურსების გამოყენების სრული შედეგების შესახებ.

1. მტკვარ-არაქსის ბასეინის წყლის რესსურსების გამოყენების სქემის შემდგენელი სამმართველო იმყოფება ამიერკავკასის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შედგენილობაში.

2. სამმართველოს სათავეში სდგას უფროსი, რომელსაც დანიშნავს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო და რომელიც უშუალოდ ემორჩილება ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს და მის მოადგილებს.

3. სამმართველოს შეადგენენ: სამმართველოს უფროსი, მისი თანაშემწები, კანკულარია, ბუხპალტერია და შემდეგი ნაწილები:

- ა) სატოპოგრაფიო;
- ბ) საპიდროგეოლოგიო;
- გ) საპიდროლოგიო;
- დ) სანიადაგო-საბოტანიკო;
- ე) საპიდრომოდულო;
- ვ) სასტატისტიკო-საეკონომიკო;
- ზ) საპროექტო.

თვითეული ნაწილის სათავეში სდგას ხელმძღვანელი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება სამმართველოს უფროსს.

4. სამმართველოს უფროსი შეორე ხარისხოვანი განმეორებულებელია სამუშაოთა აღსრულებისათვის გახსნილი კრედიტებისა და მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულებისათვის იგი იხელმძღვანელებს მომქმედ კანონებსა და ამადებულებას, აგრეთვე ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს განკარგულებას.

5. სამმართველოს უფროსის თანაშემწეს, ნაწილების ხელმძღვანლებს და უფროს ინუნდებსა და უფროს ბუხპალტერს დანიშნავს და დაითხოვს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო სქემის შემდგენელი სამმართველოს უფროსის წარდგენით; ასევე სამმართველოს საერთო შტატიც.

6. სამმართველოს უფროსის მოვალეობას შეადგენს:

- ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს სამმართველოს ყველა სამუშაოს;
- ბ) გაანაშილოს მოვალეობანი თავისსა და სამმართველოს უფროსის თანაშემწეს შორის, აგრეთვე ტეხნიკურ პერსონალს შორის, სათანადო ნაწილების ხელმძღვანელთა წარდგენით;
- გ) მისცეს სხვადასხვა ინსტრუქცია სამმართველოს ყველა თანამშრომლებს;
- დ) ოვალყური ადევნოს ტეხნიკური, ფულადი და მატერიალური ანგარიშების სისწორით წარმოებას, ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინსტრუქციის მიხედვით;

ე) ოვალყური ადევნოს სახელმწიფო ქონების შენახვასა, ხარჯებისა და სისწორით აღნუსხვას;

ვ) მიიღოს და ხარჯოს ავანსები 100.000 მან. რაოდენობამდე, დამტკიცებული პროგრამებისა და ხარჯთაღრიცხვების მიხედვით და ფულადი თანხების ხარჯვის საერთო წესების დაცვით, ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინსტრუქციის თანახმად;

ზ) აღძრას სათანადო შემთხვევაში, სპეციალური წესების დაცვით, შუამდგომლობა ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის წინაშე—საერთო სახარჯთაღრიცხვო თანხის ფარგლებში ამა თუ იმ ცალკე მუხლის სახარჯთაღ-

რიცხვო დანიშნულების გადაცდენის შესახებ, უკეთუ ეს გამოწვეული იქნება სამუშაოს ხასიათით;

თ) მისცეს ანგარიშვალდებულ პირთ ავანსები 10.000 მან. ფარგლებში;

ი) შეიძინოს სამუშაოთათვის ინვენტარი, ინსტრუმენტები და მასალები;

კ) გაყიდოს, ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფრისის ნებართვით, გამოუსადეგარი და ზედმეტი სახელმწიფო ქონება, საამისოდ მომქმედი წესების დაცვით;

ლ) აწარმოოს სასამართლო საქმეები, საამისოდ რწმუნებულობის გაცემის უფლებით;

მ) დასდოს ხელშეკრულება და შეთანხმება დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და კომპეტენტური პირების მიერ ამა თუ იმ ცალკე საძიებლო, საკვლევო, საპროექტო და ანალიტიური სამუშაოების წარმოებისა და მონოგრაფიების შედგენის თაობაზე; ამასთანავე, იმ ხელშეკრულებას, რომელიც 5.000 მან. მეტი თანხის რაოდენობით იქნება დადებული, დაამტკიცებს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი;

ნ) დანიშნოს, გადაიყვან-გადმოიყვანოს და დაითხოვოს სამმართველოს თანამშრომელნი, სათანადო ნაწილების ხელმძღვანელთა წარდგენით და შრომის მომქმედი კანონმდებლობის დაცვით;

ო) მიიწვიოს, ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის თანხმობით, კონსულტანტები და ექსპერტები და დასდოს მათთან ხელშეკრულება;

პ) წარავლინოს სამმართველოს თანამშრომელნი სხვადასხვა სამსახურებრივი მინდობილობის შესასრულებლად.

7. სამმართველოს მიზანს შეაღგენს: მდ. მტკვრისა და არაქსის ბასეინის საირიგაციო მნიშვნელობის მქონე ყველა მდინარის წყლის რესურსების გამოყენების სქემის ძირითად დებულებათა განსაზღვრა და გამორკვევა აღნიშნული სამუშაოების შესრულების დროს. სამმართველოს სახელმძღვანელოდ უნდა ჰქონდეს—მიაღწიოს რაც შეიძლება მეტ სახალხო-მეურნეობრივ იფექტს თვითეული ბასეინის წყლის სრული და ყოველმხრივი გამოყენებით ირიგაციისა, ენერგიტიკისა, ნაოსნობისა, თევზის-ჭერისა, თევზის მოშენებისა, წყლის მიწოდებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სუვერენიტეტისათვის.

8. სამმართველოსათვის დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად იგი:

ა) აწარმოებს საძიებლო და საკვლევო მუშაობას, რაც საჭირო იქნება მის-თვის დაყენებული ამოცანების გადასაწყვეტილ;

ბ) აღგენს საპროექტო განხრახულებებსა და ამ გეგმის ცალ-ცალკე ობიექტების პროექტებს;

გ) აღგენს წყალსამეურნეო გეგმებს, როგორც თავის გამოკვლევებისა და პროექტების ცნობების მიხედვით, ისე რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების გამოკვლევებისა და პროექტების საფუძველზე.

9. დაწესებულ ვადაზე სამმართველო წარადგენს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში პერიოდულ ცნობებს თავისი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და წლიურ ტეხნიკურ და საბუხპალტრო ანგარიშს.

10. სამმართველო წარადგენს ხოლმე ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში როგორც საძიებლო და საკვლევო სამუშაოების პროგრამებსა და პროექტებს, ისე თავისი მუშაობის შედეგებს საპროექტო განზრახულებისა, პროექტებისა და გეგმების სახით.

11. ისეთი თავისი საპროექტო განზრახულებებისა და პროექტების შედგენის დროს, რაც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს ეხება, როგორიც არის: სარკინისგზო, სამდინარეო და ოდგილობრივი ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ტყის საქმე, ენერგეტიკა, თევზის მოშენება, თევზის-ჭირა და სხვა, — სამმართველომ ანგარიშში უნდა მიიღოს სახალხო მეურნეობის აღნიშნული დარგების ინტერესები და სათანადო შემთხვევაში განზრახული ღონისძიებანი უნდა შეუთანხმოს შესაფერ უწყებას და ორგანიზაციას.

12. უკეთუ რესპუბლიკუნური წყალთა მეურნეობის სამმართველოს და სხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ შედგენილი პროექტი და პროგრამა სამმართველოს მუშაობის დარგს ეხება, იგი მისცემს ამ პროექტისა და პროგრამის შესახებ დაკვირნას, რისთვისაც ანგარიშში მიიღებს პროექტისა თუ პროგრამის მნიშვნელობას მტკვარ - არაქსის ბასეინის წყლის რესურსების გამოყენებისათვის.

13. საველე საძიებლო და საკვლევო მუშაობის წარმოებისათვის მოწყობიან პარტიები, რაზმები, რაიონები (ჰიდრომეტრული) და უბნები (ჰიდრომდულური), რომელთა რიცხვსა და შედგენილობას განსაზღვრავს სამმართველოს უფროსი, საჭიროებისადამიხდვით და ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით.

14. საველე ერთეულის (პარტია და რაზმი, რაიონისა და უბნის გამგე) უფროსს დანიშნავს, გადაიყვან-გადმოიყვანს და დაითხოვს სამმართველოს უფროსი, სათანადო ნაწილის უფროსის წარდგენით.

15. საველე ერთეულის საშუალო ტეხნიკურ პერსონალს დანიშნავს, გადაიყვან-გადმოიყვანს და დაითხოვს სამმართველოს უფროსი, ამ ერთეულის უფროსის წარდგენით და შრომის მომქმედი კანონმდებლობის დაცვით.

16. დაბალ ტეხნიკურ და დამხმარე პერსონალს, აგრეთვე საველე ერთეულის მუშებს დანიშნავს და დაითხოვს მათი უფროსი, შრომის მომქმედი კანონმდებლობის დაცვით.

17. ურთიერთი მიმართვა სამმართველოსა და სსრკ-ისა, ამიერკავკასიის ფედერაციისა და ცალკე რესპუბლიკების მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებათა შორის სწარმოებს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მეშვეობით, ხოლო ურთიერთი მიმართვა სხვა დანარჩენ დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და პირებთან სწარმოებს უშუალოდ.

18. სამმართველოს აქცს ღერბიანი ბეჭედი.

დადგენილება № 111 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

39. ა/ქსფსრ ტერიტორიაზე სახელექციო მეთესლეობის მოწყობისა,
დაფინანსების წესისა და სოფლის მეურნეობაში სახელექციო
და ჯიშიანი ოქსლეულის გავრცელების შესახებ.

რადგანაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს სასელექციო და ჯიშიანი ოქსლეულის წარმოებას და დიდად საჭიროა მეთესლეობის ყოველმხრივი განვითარება, ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალ მთავრობათ, მიმღონ რა რა მხედველობაში, რომ საჭიროა:

ა) სათესლე მასალის ნაგვიანობასთან ბრძოლა,

ბ) ამ მასალის თვისების გაუმჯობესება;

გ) ამა თუ იმ სასტანდარტო ჯიშიანი კულტურის ადგილების შექმნა,—გამოსცენ დებულებანი საჯიშე სათესლე ფონდების შექმნისა და გამოყენების შესახებ შემდეგ საფუძველზე:

1. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში შეიქმნება რესპუბლიკანური (ცენტრალური) და ადგილობრივი სახელმწიფო საჯიშე სათესლე ფონდები ფულადი და ნატურალური ფორმით.

2. სასალექციო ჯიშიანი და, პირველ ხანში, გაუმჯობესებული ოქსლეული-საგან ნატურალური ფორმით შექმნილი ცენტრალური სათესლე ფონდი, ისე, როგორც ფულადი ფორმით შექმნილი ფონდი, არის ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების განკარგულებაში.

3. ადგილობრივი სახელმწიფო საჯიშე სათესლე ფონდი შეიქმნება უპირატესად ნატურალური ფორმით და იქნება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების საალდგილომაჟულო განყოფილებათა გამგებლობაში.

4. სახელმწიფო საჯიშე სათესლე ფონდების მიზანს შეადგენს:

ა) გაუმჯობესებული ჯიშიანი ოქსლეულის გამოყვანა;

ბ) მათი გამრავლება და

გ) საგლეხო და კოლექტიურ მეურნეობათა მასსიური მომარაგება ჯიშიანი სათესლე მასალით.

5. ოქსლეულის გამრავლება სწარმოებს შემდეგი სქემით, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს რაიონის ხაზით:

ა) ელიტები (სასელექციო ოქსლის პირველი პროდუქცია მეტად მცირე რაოდგნობით) საცდელ სადგურებზე მინდვრად;

ბ) პირველი რეპროდუქცია სადედე სანერგეებში, რაც საცდელ სადგურებთან და მინდვრადაა;

გ) მორე რეპროდუქცია საჯიშე სანერგეებში, რაც, აგრეთვე, საცდელ სადგურებთან და მინდვრადაა;

დ) მესამე რეპროდუქცია სპეციალურ სათესლე მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

ე) მეოთხე რეპროდუქცია სათესლე ამხანაგობებში, რომლნიც ამრავლებენ მე-3 რეპროდუქციის თესლს მასსიური რაოდენობით საგლეხო და კოლექტიურ მეურნეობათა უშუალო მომარაგებისათვის.

6. სათესლე ფონდის საბოლოოდ შექმნის ვალა განისაზღვრება ორიენტი-რულად 10 წლით, გამრავლების პერიოდის მიხედვით სათესლე მასალის ცალკე სტადიებისათვის;

7. თესლის წარმოებისა და თესლის მიწოდების საქმის საერთო ხელმძღვანელობა ა/კსტრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების გამგებლობაშია.

8. ა/კსტრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან არსებული რესპუბლიკანური (ცენტრალური) სახელმწიფო საჯიშე სათესლე ფონდები დანიშნულია:

ა) ადგილობრივი სახელმწიფო სათესლე ფონდების ხელისშესატყობად და გასაძლიერებლად;

ბ) ამა თუ იმ ცალკე რაიონების გლეხთა მოსამარაგებლად ადგილობრივი ფონდების გამგე არგანიზაციების მეშვეობით;

გ) გაუმჯობესებული და ჯიშიანი თესლეულის წარმოების მოსაწყობად მე-სამე რეპროდუქციამდე—ამიანად;

დ) სათესლე ამხანაგობათა სახსარის გასაძლიერებლად.

9. ადგილობრივი სახელმწიფო საჯიშე სათესლე ფონდები დანიშნულია:

ა) უწყებული რაიონის საგლეხო და კოლექტიურ მეურნეობათა მასსიური მომარაგებისათვის გაუმჯობესებული და ჯიშიანი თესლეულით.

ბ) სათესლე ამხანაგობებში თესლის საქმის მოწესრიგებისათვის.

10. თესლით მომარაგება სწარმოებს იმ ვარაუდით, რომ გაუმჯობესებული და ჯიშიანი თესლით დათესილი იქნება ერთიანი მასსივები განსაზღვრულ რაიონში.

11. ჯიშიანი და გაუმჯობესებული თესლეულის ფონდის რაციონალურად გამოყენებისათვის კონტროლისა და ინსტრუქტირობის გასაწევად მოეწყობა საკონტროლო პუნქტების ქსელი ა/კსტრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ცენტრალური საცდელი დაწესებულებების მეთაურობით.

12. სათესლე სესხს გასცემენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები ნატურად ან ფულად, ამა თუ იმ რაიონის ადგილობრივი პირობების მიხედვით.

13. სათესლე სესხის გაცემის დროს მსესხებელთან დაიდება განსაკუთრებული ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება სათესლე სესხის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება.

14. სესხი დაბრუნებულ უნდა იქნეს უხსოესი მოსავლიდან ნატურად თუ ფულად, როგორც მსესხებელი აირჩევს სათანადო კონდიციის მიხედვით.

15. სათესლე სესხის სარგებლობისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს არა უმეტეს 4% -სა წლიურად; ამასთანავე, ლარიბ და კოლექტიურ მეურნეობათათვის

შეიძლება დაწესებულ იქნეს განსაკუთრებული შეღავაოები, რის წესა და რაოდენობას განსაზღვრავენ ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები.

16. რესპუბლიკანური (ცენტრალური) სახელმწიფო სათესლე ფონდი შეიქმნება სახელმწიფო სახსარით, რაც გადადებულ იქნება, განსაკუთრებული კანონის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის წესისამებრ.

ადგილობრივი სახელმწიფო საჯიშე სათესლე ფონდი შეიქმნება ადგილობრივი ბიუჯეტისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სახსარით და იმ სახსარით, რაც რესპუბლიკანური (ცენტრალური) ფონდიდან გადაიდება.

17. სახელმწიფო საჯიშე სათესლე ფონდების დებულების განსავითარებლად ინსტრუქციებს გამოსცემენ ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები.

II. შემდგომი საბიუჯეტო წლებისათვის გათვალისწინებულ იქნეს სპეციალური საბიუჯეტო ასიგვნებისაგან სარეზერვო ფონდის დაარსება ფულადი ფორმით, რაც ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაში იქნება სახელმწიფო საჯიშე სათესლე ფონდების დაფინანსებისათვის, საგანგებო შემთხვევაში, მოუსავლობისა ან რაიმე სხვა უზედური მოვლენის გამო, რაც შეიძლება მოხდეს ა/ქსფსრ ამა თუ იმ რაიონში; ასიგვნების გაცემა ამ ფონდიდან უნდა სწარმოებდეს ა/ქსფსრ უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს დადგენილებით, ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიკური თათბირების წარდგენის თანახმად.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. ოქტომბერის 21. ტუილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შედგენილების საბჭოსი.

40. სასარეწაო კოოპერაციასა და შრომის არტელებში, შინამრეწველებთან და ხელოსნებთან არსებული შეგირდობის წესების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 24-ს დადგენილებასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 64 №-რი, მუხ. 589), რომელი დადგენილებითაც შეცვლილია

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 15-ს დადგენილება „შინამრეწველებთან და ხელო-სნებთან, სასარეწაო კოოპერაციასა და შრომის არტელებში არსებული შეგირდო-ბის ძირითად დებულებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 71 №-რი, მუხ. 543), — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-6 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 26-ს დადგენილებით დამტკაცებული წესებისა „შეგირდობის შესახებ სასარეწაო კოოპერაციაში და შრომის არტელებში, შინამრეწველებთან და ხელოსნებთან“ (აკსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. მე-100) მაღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. სახლში მომუშავე შინამრეწველებთან და ხელოსნებთან მყოფი შეგირ-დების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს თითო ოსტატზე არ შეგირდს.

საერთო საარტელო სახელოსნოში მყოფი შეგირდების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ამ სახელოსნოში მომუშავე არტელის წევრთა ორმაგ რიცხვს“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე დ. ჟუსეინოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. თებერვლის 18. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 110 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

41. 1928-29 წლის სამშენებლო სეზონისათვის მომზადების ღო-ნისძიებათა შესახებ.

1929 წლის სამშენებლო სეზონისათვის მომზადების გასაძლიერებლად და მშენებლობის ღირებულების შესამცირებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბ-ჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დაამთავროს მიმღინარე წლის აპრილის 1-თვის, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 21-ს დადგენილების თანახმად, მის მიერ წარმოებული გამოკვლევა 1928 წლის სამშენებლო სეზონისათვის მომზადების

ლონისძიებათა განხორციელებისა, რისთვისაც დაავალოს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს ჩააბან ა/ქსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ აღნიშნული გამოკვლევისათვის წარმოებულ ოპერატორულ მუშაობაში ხსენებული რესპუბლიკების სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის:

აღნიშნულმა გამოკვლევამ უნდა გამოარევიოს აგრეთვე, შესრულებულია თუ არა წინამდებარე სამშენებლო სეზონისათვის სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წ. ივნისის 8-სა და ივლისის 27-ს დადგენილებებით და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 11-ს დადგენილებით განსაზღვრული შემდეგი ლონისძიებანი:

ა) მიწის ნაკვეთების მიწის შესახებ თავის დროზე (1928 წ. ოქტომბრის 1-თვის) განცხადებისა, ნებართვისა და ხელშეკრულების წარმოება;

ბ) წინამდებარე მშენებლობის პროექტების დამტკიცება და უპროექტო სამშენებლო სამუშაოთა გამორკვევა 1929 წ. იანვრის 1-თვის;

გ) მშენებელ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების დადება ნარდად მუშაობის წარმოებისა და მათ მიერ ხელშეკრულებების დადება საშენი მასალის ყიდვა-მიწოდების შესახებ;

დ) მშენებელი კონტორების ძირითადი და საბრუნავი კაპიტალების მიღწევინება წარმოებითი პროგრამებით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობის $\frac{1}{12}$ და $\frac{1}{15}$ -დე.

ა/ქსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ჯუმლობითი მოხსენება შეთანხმებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტთან.

2. გავრცელებულ იქნეს 1928/29 წლის მშენებლობის სეზონზე ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის თებერვლის 23-ს დადგენილებით გათვალისწინებული ლონისძიებანი, ორგელნიც შეეხებოდენ 1927/28 წლის მშენებლობის სეზონის მომზადებას და გამოიხატებოდნენ შემდეგში:

ა) წინადადება მიეცეს სამშენებლო მუშაობის მწარმოებელ ყველა საჭარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას მიიღოს ლონისძიება, რათა სამშენებლო მუშაობა თავის დროზე იქნეს დაწყებული და თანაბრად გაიშალოს. იგი მთელი სამეურნეო სეზონის განმავლობაში, თანაც მხედველობაში მიიღოს მუშების მინდვრის სამუშაოზე მიქცევა;

ბ) დაევალოს იმავე დაწესებულებათ და საწარმოთ თავის დროზე დასდონ ა/ქსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან და მათ ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებანი მასსიური და ჯგუფური მუშა ძალის მოგროვების შესახებ და თავის დროზევე წარუდგინონ მათ საორიენტირო ცნობები იმის თაობაზე, თუ რა მოთხოვნილებაა მუშა-ძალისა;

გ) შემუშავებულ იქნეს თვითურული ცალკე მშენებლობისათვის სამუშაოების შესრულების საკალენდრო გეგმები და ამასთან დაკავშირებული დაფინანსებისა, მასალების მიწოდებისა და მუშა-ძალით უზრუკელყოფის საკალენდრო გეგმები.

დ) შეთანხმებულ იქნეს დაფინანსების გეგმები მშენებლობის დამაფინანსებელ სათანადო ორგანოებთან: ფინანსთა სახალხო კომისარიატთან (ბიუჯეტის

შესახებ), ბანკებთან (კრედიტების შესახებ), უწყებასთან და ზემდგომ დაწესებულებასთან (საკუთრი სახსრის შესახებ).

3. წინადაღება მიეცეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს:

ა) მიიღონ სასწრაფო ღონისძიება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფაქტიური და თავის დროზე გაცემა სახსარისა, რაც, 1928-29 წლის საკონტროლო ციფრების მიხედვით, დანიშნულია საშენი მასალების მრეწველობისათვის; ამასთანავე, დაწესებულ იქნეს პირადი ბასუხისმგებლობა ამ ღონისძიების შესრულებლობისათვის;

ბ) დაავალონ დიდი ქალაქების ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა მათ მოაწყონ მშენებლობის დიდ ცენტრებში ქვიშისა, ხრეშისა და საყორე ქვის ამოღება, აგრეთვე ამ საშენი მასალების გაიაფებული გადაზიდვა მშენებლობის ადგილომდე;

გ) დაავალონ საშენი მასალის მწარმოებელ ორგანოებს, რათა მათ მიიღონ სასწრაფო ღონისძიება საშენი მასალის თვისების გაუმჯობესებისათვის, კერძოდ აგურისა, კირისა და გაჯისა.

4. წინადაღება მიეცეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს, აგრეთვე ა/ქსფსრ-ში მშენებლობის მწარმოებელ ამიერკავკასიის ყველა სახალხო კომისარიატსა, ამიერკავკასიის და საერთო-საკავშირო დაწესებულებასა, საწარმოს და ორგანიზაციას მიიღოს ყოველი ღონისძიება, რათა აღსრულებულ იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 21-ს დადგენილება—1928-29 წელს განსახორციელებლად დანიშნული სამრეწველო მშენებლობის ღირებულების შესახებ (უმწყობილებოდ) არა ნაკლებ, ვიდრე 15% -თ, ხოლო საბინაო მშენებლობისა—არა ნაკლებ, ვიდრე 11% -თ ანალიგიური მშენებლობის 1927-28 წლის ღირებულებასთან შედარებით; ამასთანავე, სამრეწველო მშენებლობის ღირებულების შემცირება უნდა მოხდეს:

ა) მშენებლობის უფრო ეკონომიური პროექტირობით, რისთვისაც შეფარდებულ უნდა იქნეს უფრო მარტივი კონსტრუქციები და მოსაპოს დატვირთვისა და სიმაგრის მარაგის საგანგებო ნორმების შემცირების ზედმეტობა—არა ნაკლებ, ვიდრე 8% -თ; სამრეწველო მშენებლობის საერთო ღირებულების 8% -თ;

შენიშვნა. დაეკისროს პროექტების დამატებიცებელ ორგანიზაციებს ყურადღება მიაქციონ დამტკიცებული პროექტების თავის დროზე გასინჯვას და ანგარიშში მიიღონ აღნიშნული მოთხოვნები.

ბ) საშენი მასალის საგასაცემო ფასების დაკლებით, მასალის უფრო რაციონალური გამოყენებით, სატრანსპორტო ხარჯების შემცირებით, შრომის ნაყოფიერების გაძლიერებით, საორგანიზაციო ხარჯების შემცირებით და სხვ.—არა ნაკლებ საერთო ღირებულების 7% -სა.

5. ვიდრე სამრეწველო მშენებლობის პროექტირობის ახალი ნორმები გამოიცემოდეს, სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1928 წლის 84 №-რის ბრძანებაში გამოკვეყნებული ნორმები, რომლებიც გავრცელებულ უნდა იქნეს აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს არაქვემდებარე სამრეწველო მშენებლობაზედაც.

6. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, იმ უწყებებთან ერთად (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გარდა), რომელთა გამგებლობაშიაც საშენი მასალის დამშუავებელი საწარმონია, თავის ღროშე გამოსცეს ინსტრუქცია—ამ საწარმოთა მიერ სიგასაცემო ფასების შემცირების განხორციელებისათვის არა ნაკლებ ვიდრე იმ რაოდენობით, რაც დაწესებულ იქნება სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ, შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წლის დეკემბრის 21-ს თარიღისა და 397 №-ის დადგენილების თანახმად.

7. დაევალოს ამიერკავკასიის ყველა სახალხო კომისარიატსა და ამიერკავკასიისა და საერთო-საკავშირო ყველა დაწესებულებასა, საწარმოს და ორგანიზაციის, რომელიც-კი ა/ქსფსრ-ში მშენებლობას აწარმოებს, წარუდგინოს 1929 წ. აპრილის 1-თვის, ამიერკავკასიის სატექნიკო-სამშენებლო კომიტეტის მეშვეობით, ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება ამა დადგენილების შესრულების შესახებ.

8. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ შედეგენილობაში შემავალი რესუბლიკების ეკონომიურ თაბიირებს—ასეთივე ჯუმლობითი მოხსენება წარუდგინონ, არა უგვიანეს მიმდინარე წლის აპრილის 1-სა, ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

**ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.**

**ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.**

1929 წ. მარტის 7. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი ბეჭედი კომიტეტის მიერ კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

42. საწარმოთა ფირნიშებისა და საფირნიშო წესების დარღვევისა და სარეგისტრაციო მოწმობების წარუდგენლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ის საწარმო და პირი, რომელიც სახელმწიფო სარეწაო გადასახადს იხდის, ვალდებულია იქონიოს თავის საწარმოზე, სასაწყობო სადგომზე და წარმოების ადგილის სათანადო ფირნიში, რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს საწარმოს ან საწყობის სახე და მფლობელის სახელწოდება ან ფირმის სახელწოდება.

2. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოს და სასაწყობო სადგომის მფლობელი ვალდებულია აღებული სარეგისტრაციო მოწმობა გამოკვიდოს საწარმოში და საწყობში თვალსაჩინო ადგილას.

3. იმ პირს, რომელიც არ დაიცავს ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლები აღნიშნულ წესებს, ან რომელიც სოფლად ყოველგვარი საქონილის შესყიდვის წარმოების დროს არ წარუდგენს სარეგისტრაციო მოწმობას, აღსანიშნავად, იმ რაიონის ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, სადაც შესყიდვა სწარმოებს, და აგრეთვე სათანადო შემთხვევაში (სახელმწიფო გადასახადის დებულების 44 მუხ.) არ წარუდგენს საგადასახადო ზედამხედველობას სარეგისტრაციო მოწმობას და სხვა დოკუმენტს, რაც საჭიროა გაჭრობისა და რეწაობის შესამოწმებლად,—დაედება, სამაზრო საფინანსო განყოფილების დადგენილებით, ფულადი გადასახდელი არა უმეტეს 50 მანეთისა.

4. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოლებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ა/კსფსრ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. თებერვალის 14-ის თარიღისა და მე-5 №-ის დადგენილება „სავაჭრო-სამრეწველო აღწესებულებებისა და საწყობების მოვალეობის შესახებ—იქონიონ აბრა“ და თვალსაჩინო ადგილას გამოკვიდონ პატენტები (ა/კსფსრ კან. კრებ. 1927 წ. № 4, მუხ. 40) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 28-ის დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრებ. 1928 წ. № 15, მუხ. 157) დამტკიცებული წესები სოფლად საქონლის შემსყიდველ საწარმოთა და პირთა რეგისტრაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდიგანი ა. შავერდოვი.

ტფილისი-სასახლე. 1929 წ. მარტის 4.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი გენერალური კომიტეტის მიერ შრომის განვითარებისა და დამატების შესახებ 1928 წლის ნოემბრის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1928 წ. 21 №-რი,

43. შრომის კანონთა კოდექსის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შრომის კანონთა კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ 1928 წლის ნოემბრის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1928 წ. 21 №-რი,

მუხ. 243) დასამატებლად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღგენს:

შრომის კანონთა კოდექსის 34⁹ მუხლის მე-2 შენიშვნა, 34¹⁰ 34³⁵ მუხლები (ა/კსფსრ კან. კრებ. 1926 წ. მე-9 №-რი, მუხ. 704 და 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 79) — გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

ტფილისი-სასახლე. 1929 წ. მარტის 4.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

44. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 187, 188, 189 და 190 მუხლების შეცვლისა და 189¹, 189², 189³, 189⁴, 189⁵, 189⁶, 189⁷, 189⁸ და 189⁹ მუხლების შეხების შესახებ.

ინგალიდობის გამო და მარჩენალის დაკარგვის გამო სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის დებულების (სსრკ კან. კრებ. 1928 წ. მე-17 №-რი, მუხ. 146 და 65 №-რი, მუხ. 59) თანახმად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღგენს:

ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 187, 188, 189, 189¹—189⁹ და 190 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„187. ინგალიდობის გამო უზრუნველყოფის უფლება აქვს:

ა) იმ პირს, რომელმაც დაჰკარგა შრომის უნარი უბედური შემთხვევის გამო, რაც მოხდა დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებით, ან პროფესიონალური ავაღმყოფობის გამო, დაქირავებით მუშაობის სტაჟის მიუხედავად;

ბ) იმ პირს, რომელმაც დაჰკარგა შრომის უნარი სხვა მიზეზის გამო, უკეთუ იგი შრომის უნარის დაკარგვის დადგენის დღისათვის 20 წელს მიღწეულია — როდესაც საერთო სტაჟი დაქირავებით მუშაობისა არის ერთი წლიდან რეა წლამდე, მისი ასაკის მიხედვით, ხოლო უკეთუ იგი ამ დღისათვის აღნიშნულ ასაკს მიღწეული არ არის — მიუხედავად დაქირავებით მუშაობის ხანგრძლიობისა“.

„188. დაქირავებით მუშაობის საერთო სტაჟს, რაც იძლევა სხვა მიზეზით მომხდარი ინგალიდობის გამო უზრუნველყოფის უფლებას (187 მუხ. „ბ“ პუნქტი), ამ სატაჟის გამოანგარიშების წესსა და აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში,

შრომის ინვალიდების უზრუნველყოფის ნორმებსა და ფორმას დააწესებს სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო—ინვალიდის ასაკისა, ინვალიდობის ხარისხისა და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.“

„189. უკეთუ დაქირავებით მომუშავე გარდაიცვალა ან იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა და ეს დაკარგვა სათანადოდ დამოწმებულია, უზრუნველყოფილ უნდა იქნებ მისი ოჯახის შემდეგი წევრები, რომელთაც არა აქვთ საკმაო სახსარი არსებობისათვის და რომელნიც გარდაცვალებულის ან უგზოუკვლოდ დაკარგულის რჩენაზე იმყოფებოდნენ:“

ა) შვილი, ძმა, და ან შვილად აყვანილი, რომელნიც არ მიღწეულან 16 წლის ასაკს, ხოლო, უკეთუ ისინი სასწავლებელში სწავლობენ—18 წლის ასაკს;

ბ) თექვეშეტი წლის ასაკს მიღწეული შვილი, ძმა, და ან შვილად აყვანილი, რომელთაც აღნიშნული ასაკის მიღწევამდე შრომის უნარი არ დაუკარგავთ;

გ) მშობელი, მეუღლე და შვილად ამყვანი, რომელიც შრომის უნარს მაკლებულია ან მიღწეულია: მამაკაცი—სამოცი—წლის ასაკს და დედაკაცი—ორმოცდახუთმეტი წლის ასაკს;

დ) ამა მუხლის „გ“ პუნქტში ჩამოთვლილთა შორის ოჯახის ის დაზღვეული წევრი, რომელიც თუმცა შრომის უნარიანია, ან არ არის მიღწეული: მამაკაცი სამოცი წლის ასაკს და დედაკაცი—ორმოცდახუთმეტი წლის ასაკს, ხოლო უვლის დაზღვეულის რვა წლის ასაკს მიუღწეველ შვილს, ძმას, დას ან შვილად აყვანილს.“

„189¹. გარდაცვალებული ან უგზოუკვლოდ დაკარგული მარჩენალის ოჯახის წევრები, რომელნიც აღნიშნულ არიან 189 მუხლში, უზრუნველყოფილ უნდა იქნებ:“

ა) უკეთუ მარჩენალი გარდაიცვალა უბედური შემთხვევის გამო, რაც მოხდა დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებით, ან პროფესიონალური ავადმყოფობის გამო, დაქირავებით მუშაობის სტაჟის მიუხედავად;

ბ) უკეთუ მარჩენალი გარდაიცვალა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა სხვა მიზეზის გამო, თუ მან გარდაცვალების დღეს ან უგზოუკვლოდ დაკარგვის დაღვენის დღისათვის ოცი წლის ასაკს მიაღწია—როდესაც საერთო სტაჟი მარჩენალის დაქირავებით მუშაობისა არის ერთი წლიდან რვა წლიდე, მისი ასაკის მიხედვით, ხოლო თუ მარჩენალი ამ დღისათვის აღნიშნულ ასაკს მიღწეული არ ყოფილა—მიუხედავად მისი დაქირავებით მუშაობის ხანგრძლიობისა;

გ) უკეთუ ოჯახის მარჩენალი იღებდა პენსიას ინვალიდობის გამო სოციალური დაზღვევის წესით, მიუხედავად ოჯახის მარჩენალის შრომითი სტაჟის ხანგრძლიობისა.“

„189². გარდაცვალებული მარჩენალის ოჯახის წევრებს, რომელნიც აღნიშნულ არიან 189 მუხლში, აქვთ უზრუნველყოფის უფლება, უკეთუ მარჩენალი გარდაიცვალა:“

ა) დაქირავებით მუშაობის პერიოდში ან

ბ) მის მიერ უმუშევრობის გამო დახმარების მიღების დროს ან იმ დროს, როდესაც უმუშევრობის ერთი შემთხვევის გამო მინაცემი დახმარება მას შეწყვეტილი ჰქონდა მიღების ორ პერიოდს შუა ან და

გ) ერთი წლის განმავლობაში მის მირ დაქირავებით მუშაობის შეწყვეტის დღიდან ან დროებით შრომის უნარდაკარგულობის გამო დახმარების მიცემის შეწყვეტის დღიდან ან

დ) იმ პერიოდში, როდესაც მან მიიღო უზრუნველყოფა ინვალიდობის გამო სოციალური დაზღვევის წესით ან ერთი წლის განმავლობაში მისთვის პენსიის უკანასკნელად მიცემის დღიდან.

ამავე პირო აქვთ უზრუნველყოფის უფლება, უკეთუ შუამდგომლობა მარჩენალის უგზო-უკვლოდ დაკარგვის დადგენის შესახებ აღძრულ რქნა ორი წლის განმავლობაში იმ დღიდან, რა დღემდისაც მარჩენალს მიღებული აქვს სასყიდელი დაქირავებით მუშაობისათვის, დახმარება დროებით შრომის უნარდაკარგულობის გამო ან უმუშევრობის გამო, ან პენსია ინვალიდობის გამო“.

„189³. პენსია ინვალიდობის გამო იმ პირისათვის, რომელმაც შრომის უნარი სრულიად დაჰკარგა და რომელსაც სხვისი მოვლა ესაჭიროება, განისაზღვრება:

ა) იმ საშოგარის რაოდენობით, რასაც იგი დაქირავებით მუშაობისათვის იღებდა, უკეთუ ინვალიდობა შედეგი იყო უბედური შემთხვევისა, რომელიც მოხდა დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებით ან პროფესიონალური ავაღმყოფობის გამო;

ბ) არა ნაკლებ იმ საშოგარის ორი მესამედის რაოდენობით, რასაც იგი დაქირავებით მუშაობისათვის იღებდა, უკეთუ ინვალიდობა სხვა მიზეზის შედეგი იყო“.

„189⁴. პენსია ინვალიდობის გამო იმ პირისათვის, რომელმაც შრომის უნარი სრულიად დაჰკარგა, ხოლო რომელსაც სხვისი მოვლა არ ესაჭიროება, და აგრეთვე იმ პირისათვის, რომელმაც შრომის უნარი ნაწილობრივ დაჰკარგა, განისაზღვრება შემცირებული რაოდენობით—ინვალიდობის იმ ჯგუფის მიხედვით, რომელსაც იგი მიეკუთხება“.

„189⁵. პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო იმ ოჯახისათვის, რომელიც სამი ან მეტი პირისაგან შესდგება და ეს პირები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ (მუხ. 189), განისაზღვრება:

ა) მარჩენალის დაქირავებით მუშაობის საშოგარის სამი მეოთხედის რაოდენობით, უკეთუ იგი გარდაიცვალა უბედური შემთხვევის გამო, რაც მოხდა დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებით, ან პროფესიონალური ავაღმყოფობის გამო, ან უკეთუ მარჩენალის უგზო-უკვლოდ დაკარგვა მოხდა დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებით;

ბ) არა ნაკლებ იმ საშოგარის ოთხი მეცხრედის რაოდენობით, რასაც მარჩენალი იღებდა დაქირავებით მუშაობისათვის, უკეთუ გარდაცვალება ან უგზო-უკვლოდ დაკარგვა მარჩენალისა სხვა მიზეზით მოხდა“.

„1896. მოთხოვნა ინვალიდობის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ უნდა წარედგინოს დამზღვევ სალაროს არა უგვიანეს ორი წლისა დაქირავებით მუშაობის შეწყვეტის დღიდან, ან დროებითი შრომის უნარდაკარგულობის გამო უზრუნველყოფის შეწყვეტის დღიდან, ან უმუშევრობის გამო დახმარების მიღების დროს, ან და იმ დროს, რდესაც უმუშევრობის ერთი შემთხვევის გამო მინაცემი დახმარება მას შეწყვეტილი ჰქონდა მიღების ორ პერიოდს შუა“.

1897. მოთხოვნა მარჩენალის დაქარგვის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ უნდა წარედგინოს დამზღვევ სალაროს არა უგვიანეს ორი წლისა მარჩენალის გარდაცვალების დღიდან ან იმ დღიდან, როდესაც მარჩენალი დადგენილი წესი-სამებრ ცნობილ იქნება უგზო-უკვლოდ დაკარგულად“.

„1898. პენსიის დანიშვნა იმ შემთხვევაში, როდესაც 1896 და 1897 მუხლებში აღნიშნული ვალებია გაშვებული, მოხდება მხოლოდ როგორც გამონაკლისი, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის მთავარი სამართველოს განსაკუთრებული ნებართვით ოვითეულ ცალკე შემთხვევისათვის“.

„1899. უზრუნველყოფა ზემოაღნიშნული მუხლების წესისამებრ მიეცემა:

ა) ინვალიდებს და აგრევე 189 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ პირთ სიკვდილამდე;

ბ) 189 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნულ პირთ—ვიდრე ისინი ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ასაკს მიაღწევდნენ;

გ) 189 მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნულ პირთ—ვიდრე ის ბავშვები, რომელთაც ეს პირნი უვლიან, რვა წლის ასაკს მიაღწევდნენ“.

„190. დაქირავებით მუშაობის საერთო სტაჟს, რაც ოჯახის წევრს აძლევს უზრუნველყოფის უფლება 1891 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ სტაჟის გამოანგარიშების წესს და აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში, მარჩენალის დაკარგვის გამო ოჯახის წევრთა უზრუნველყოფის ნორმებსა და ფორმას დააწესოს სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარაატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო, მარჩენალის ასაკისა, ოჯახის უზრუნველსაყოფელი წევრების რიცხვისა და მათი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდიგანი ა. შავერდოვი.

1928 წ. მარტის 4. ტფილისი—სასახლე.

ცილქულიარი ა/ქსფსრ გუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა.

45. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა არქივებიდან მაკულატურის გამოყოფისა და ქაღალდის სინდიკატისათვის გადაცემის შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 28-ის დადგენილების მიხედვით სსრკ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ღონისძიებანი სახელმწიფო დაწესებულებათა არქივებიდან მთელი მაკულატურის გამოსაყოფად და მისი ქაღალდის სინდიკატისათვის გადასაცემად (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ში 1928 წ. დეკემბრის 22-ს).

მთელი მაკულატურის დასამზადებლად და გადასაცემად დანიშნული იყო ორი თვის ვადა.

ამ მუშაობის მსვლელობის შემოწმებამ ა/ქსფსრ რამდენსამე სახელმწიფო ორგანოში აღმოაჩინა სუსტი ტემპი არქივების გადასასინჯავად წარმოებული მუშაობისა.

ამის გარდა, შემჩნეულია, რომ ზოგიერთ სახელმწიფო ორგანოს ვერ გაუგია განსახორციელებელ ღონისძიებათა მნიშვნელობა, რაც სჩანს ამ ორგანოების განცხადებებიდან—თითქო უფრო მიზანშეწონილი იყო, რომ მაკულატურის ნაწილის რეალიზაცია მოხდეს ადგილობრივ ბაზარზე უფრო შალალ ფასად.

რადგანაც ამგვარი მიღობა საქმისაღმი, რაც აუცილებლად ცუდ გავლენას მოახდენს ქაღალდის მრეწველობისათვის ესოდენ მნიშვნელოვან მთავრობის ღონისძიებათა შედეგზე, სრულიად შეუწყნარებელია, აქსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოთა ყველა მეთაურ პირთ—მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი სსრკ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილების ზედმიწევნით აღსრულებისათვის.

მეორეს მხრით, აღნიშნავს რა, რომ მაკულატურის გამოსაყოფად წარმოებულ მუშაობას შეუძლიან მოგვცეს მაქსიმალური შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ საქმეში ჩაბმული იქნება საბჭოთა საზოგადოებრივობა,—ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი მოუწოდებს ყველა სათანადო დაწესებულებასთან და საწარმოსთან არსებულ ადგილობრივ კომიტეტებს, ეკონომიკურ კომისიებს და ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის უჯრედებს—აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღნაშნულ მუშაობაში.

ა/ქსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის

სახალხო კომისარი ნაზარეითანი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 57 №-ში 1929 წ. მარტის 12-ს.

დადგენილება პ/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისიისა და მინისტრის მიერაცხვისა.

46. დაწესებულებებში ქაღალდის ეკონომიურად გამოყენებისა-
თვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

I. სსრკ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისიარიატის კოლეგი-
ის იანვრის 23-ის დადგენილების (გამოქვეყნებულია „იზვესტია“-ში 1929 წ.
იანვრის 26-ს) მიხედვით—დაევალოს ყველა სახელმწიფო და კონპერატიულ და-
წესებულებას და ორგანიზაციას ყოველგვარი სახისა და ხარისხის საკანცელა-
რიო ქაღალდის ფაქტიური ხარჯი 1928-29 წლისათვის შეამციროს არა ნაკლებ,
ვიდრე 30% -ით ამავე ქაღალდის 1827-28 წლის ფაქტიურ ხარჯთან შედარებით.

II. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო და კონპერატიულ დაწესებუ-
ლებასა და ორგანიზაციას ერთი თვის ვაღაზე, ამა დადგენილების გამოქვეყნე-
ბის დღიდან, განახორციელოს შემდეგი სარაციონალიზაციო ღონისძიებანი:

1) დადგენილ იქნეს მარტივი წესი დაწესებულებებათა შორის და აგრეთვე
თვით დაწესებულებებში ცალკე ნაშილთა და მომუშავეთა შორის მიწერ-მოწე-
რისა, სახელდობრ:

ა) საინფორმაციო-სანარკვეო ხასიათის შეკითხვის გამო პასუხი უნდა და-
იწეროს შეკითხვის ქაღალდის მეორე გვერდზე, ხოლო ასლის დატოვება საქმე-
ში საჭირო არ არის;

ბ) არაპრინციპიალური ხასიათის ისეთი ქაღალდის გამო, რომლის შენახ-
ვაც აუცილებელი არ არის, პასუხი აგრეთვე უნდა დაიწეროს შეკითხვის მეორე
გვერდზე, თანაც პასუხის ასლი ან არ დაიტოვება, ან დაიტოვება. უკეთ ამას
საჭიროება მოითხოვს;

გ) მიღებული მიწერ-მოწერის სხვა ინსტანციაში წარმართვის დროს და-
წესებულების საქმეში დაიტოვება მხოლოდ წარსამართი ქაღალდის ასლი, ხოლო
მთლიან მიწერ-მოწერის ასლი გადაღებულ არ უნდა იქნეს;

დ) შემოღებულ და განვითარებულ უნდა იქნეს დაწესებულებებათა შორის
ლია ბარათებით მიწერ-მოწერის პრაქტიკა;

ე) გაუქმებულ უნდა იქნეს მიწერ-მოწერისა და მასალების წარსამართი
ქაღალდი და აგრეთვე ღოკუმენტის მიღების დადასტურება იმ შემთხვევაში,
როდესაც იგი არ შეიცავს სპეციალურ დამატებითი განმარტებას და წინადაღებას;

ვ) მაქსიმალურად უნდა შემცირდეს სასამსახურო წერილების რიცხვი და
უნდა გაუქმდეს მათი ასლების დატოვება;

ზ) სხვა დაწესებულებებთან მიწერ-მოწერის მაგიერ, შეძლებისადაგვარად,
უნდა სწარმოებდეს ტელეფონით ლაპარაკი, ხოლო ეს უნდა ალინიშნოს საქმეში;

თ) ტელეფონოგრამის ასლი არ უნდა იქნეს გადაღებული, არამედ იგი უნ-
და გადაიცეს დედან ეკნემპლიარად.

2) შემცირებულ იქნეს იმ ქალალდის რაოდენობა, რაც იხარჯება კოლე-
გიალურ და ერთპიროვან გადაწყვეტილებათა მომზადებისა და ამ გადაწყვეტი-
ლებათა გაფორმებისათვის.

ამ მიზნით:

ა) გაუქმებულ იქნეს ხელქვეითთა მიერ ხელმძღვანელთათვის წერილობითი
მოხსენებების წარდგენა, გარდა აუცილებელი შემთხვევისა;

ბ) სხვადასხვა ინსტანციაში, კოლეგიაში, გამგეობაში და სხვ. წარსადგენი
წერილობითი მოხსენება შედგენილ უნდა იქნეს,—როგორც წესი,—სათეზისო
ფორმით და მოხსენების მაქსიმალური სიდიდე უნდა განისაზღვროს 10 გვერდით.

გ) მოხსენების დანართები უნდა შემცირდეს მინიმუმამდე;

დ) მაქსიმალურად უნდა შემცირდეს შემთხვევები სხდომებზე წარმოებული
კამათის ოქმით ჩაწერისა და ამის მაგიერ უნდა სწარმოებდეს საკითხისა და
დადგენილების მოკლე შინაარსის ჩაწერა;

ე) უნდა შემცირდეს შემთხვევები კოლეგიებისა, გამგეობებისა და კომისი-
ების სხდომებში წარმოთქმული სიტყვების სტენოგრაფიით ჩაწერისა, რაც შეი-
ძლება მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხისათვის;

ვ) შემოღებულ უნდა იქნეს მმართველობის ტეხნიკის ინსტიტუტის მიერ
შემუშავებული სასტანდარტო ფორმა ოქმისა, სადაც ნაწილები „მოისმინეს“
და „დაადგინეს“ მოთავსებულია ერთიმერის ქვემოდ ქალალდის სივრცის
მთელს სიგანგეზე (და არა მარცხნივ და მარჯვნივ);

ზ) უნდა შეიზღუდოს გასაგზავნი ოქმების ექვემდებრიარების რიცხვი. სხდო-
მების ოქმი ან ოქმის ამონაშერი გაეგზავნება მხოლოდ იმ დაწესებულებებს, რო-
მელთაც უნდა შეასრულონ დადგენილებანი, თვალყური უნდა ადევნონ მათ
შესრულებას ან უნდა შეათანხმონ თავისი მუშაობა;

თ) დაწესებულების არქივში დატოვებულ უნდან იქნეს არა უმეტეს ორი
ცალი ოქმისა—დედანი და ერთი ასლი ნარკვევებისათვის.

3) დადგენილ იქნეს უფრო სამომჭირნეო და მიზანშეწონილი წესი ქალალ-
დების შედგენისა და დამზადებისა, სახელდობრ: ა) ქალალდის ფორმატი უნდა
აირჩის ისეთი ანგარიშით, რომ რაც შეიძლება სრულად იქნეს გამოყენებული
ქალალდის სივრცე როგორც პირველ, ისე მეორე გვერდზე; ბ) დოკუმენტების
დასაბეჭდად მოხმარებულ უნდა იქნეს ისეთი თვისების ქალალდი, რაც დოკუ-
მენტების მნიშვნელობას შეეფერება, კერძოდ, მცირე მნიშვნელობის დოკუმენ-
ტები დაბალი ხარისხის ქალალდზე უნდა იბეჭდებოდეს; გ) ქალალდი ხელით სა-
ბეჭდავ მანქანაზე უნდა იბეჭდებოდეს მხოლოდ ერთი ინტერვალით; დ) დაწესე-
ბულების საქმეში უნდა დარჩის მხოლოდ ერთი ასლი ან გარკვეული ხე-
ლით დაწერილი შავი გასაგზავნი ქალალდისა; ე) ხელის მანქანით დაბეჭდილი
ქალალდის ხელახლად გადაბეჭდვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდე-
საც ქალალდის ტექსტში ან მის არეზე ხელით თუ მანქანით შესწორების შე-
ტანა შეუძლებელია.

4) შემცირებულ იქნეს ქალალდის რაოდენობა, რაც იხარჯება საერთო
ფორმებისა და საერთო ბლანკების დასამზადებლად; ამ მიზნით: ა) თვითეულ
დაწესებულებაში უნდა გამოიყოს ისეთი პირი, რომელიც პასუხისმეგებელი იქნება

სტანდარტიზაციასა და ჩაციონალური მონტაჟისათვის და ანგარიშების ბლანკების დაკვეთისათვის; ბ) აღძრულ უნდა იქნეს საკითხი პერიფერიის ორგანოებისათვის საერთო ფორმებისა და ანგარიშების ფორმების. ცენტრალიზებული წესით დამზადების შესახებ და გ) უნდა დაჩქარდეს ბლანკების სასტანდარტო ფორმებზე გადასცლა.

5. დამყარებულ იქნეს უფრო სამომშირნეო წესი ბრძანებებისა, განკარგულებებისა და საუწყებო ბიულეტენების გამოცემისათვის, ამ მიზნით: ა) უნდა გაუქმდეს ცენტრალურ დაწესებულებათა მიერ ბრძანებებისა, ცირკულიარებისა და განკარგულებების გზავნა ცველა ქვემდებარე დაწესებულებისათვის, არამედ იგი უნდა ეგზავნებოდეს მარტოოდენ იმ დაწესებულებათ, რომელთაც იგი შეეხება, ან რომელთათვისაც იგი ნამდვილად აუცილებელი იქნება; ბ) უნდა გაუქმდეს ბრძანებების გზავნა პირადი შედგენილობის მიღებისა, დათხოვნისა და გაღაყვან-გადმოყვანისათვის; გ) მაქსიმალურად უნდა შემცირდეს საუწყებო საინფორმაციო ჯუმლებისა, მიმოხილვებისა და ბიულეტენების ტირაჟი და მოცულობა.

6. შემცირებულ იქნეს ქალალდის რაოდენობა, რაც იხარჯება ქალალდების რეგისტრაციისა და გაგზავნისათვის; ამ მიზნით: ა) გაუქმდეს რეგისტრაციის საღუბლეტო სისტემა; ბ) კაცის ხელით გასაგზავნი ქალალდი (არასაიდუმლი) უნდა გაიგზავნოს უკონვერტოდ; გ) ერთი და იმავე დაწესებულების (ან პირის) სახელზე გასაგზავნი ქალალდები უნდა გაიგზავნოს ერთი კონვერტით; დ) შემოღებულ იქნეს პრაქტიკად წერილების გზავნა უკონვერტოდ—უწყებებისა და ბანდეროლების მსგავსად.

7. შემოღებულ იქნეს პრაქტიკად დაწესებულებათა მიერ სუფთა ქალალდის სახით მოხმარება იმ სუფთა ფურცლებისა, რაც გამოიყოფა,—ცენტროარქივის ინსტრუქციის თანახმად,—დაწესებულებების არქივიდან, საქმეებიდან და დავთრებიდან, და აგრეთვე იმ საარქივო ქალალდების მეორე სუფთა გვერდისა, რომლის შენახვაც საჭირო არ არის.

8. შემოღებულ იქნეს დაწესებულებაში ქალალდის ნარჩენისა, მოსასპობი შავებისა, ზედმეტი ასლებისა და სხვ. შეგროვება და მათი გადაცემა ქალალდის მრგველობის საჭიროებისათვის; პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის დაგენისროს დაწესებულების ერთ-ერთ მომუშავეს.

III. გარდა აღნიშნული ლონისძიებებისა, თვითეული დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და განახორციელოს სხევა ლონისძიებანიც, რაც კი მისი მუშაობის პირობებში შესაძლებელია, რათა ამით ქალალდის ხარჯვის 30%-ით შემცირება სრულიად უზრუნველყოფილ იქნეს.

IV. მიერთოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს უზრუნველჰყონ ზემოაღნიშნული ლონისძიებების ერთი თვის ვადაზე განხორციელება რესპუბლიკანური და აღგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ.

V. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს დააწესონ,—სადაც ეს საჭირო იქნება,—

აპარატის ქვედა საფეხურებისათვის (სოფლის საბჭო, წარმოებითი საწარმო, ქავშირგაბმულობის საწარმო და სხვ.) ქალალდის ხარჯვის შემცირების ნორმა— $30\%_0$ -ზე ნაკლები.

VII. ეთხოვოს ამიერკავკასიის პროფ. კავშირთა საბჭოს მიაქციოს ქალალდის ხარჯვის შემცირების საქმეს პროფ. კავშირთა საზოგადოებრიობისა და ორგანიზაციების ყურადღება და უზრუნველყოს ეკონომიკური კომისიების მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

VIII. დაეკისროს გეგმის-გარეშე ინსპექციას—ამიერკავკასიის ორგანიზაციების მიმართ—და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს—რესპუბლიკანური და ადგილობრიეთი ორგანიზაციების მიმართ—შეამოწმონ ამა დადგენილების აღსრულება.

პირველი შემოწმება უნდა მოხდეს სამი თვის შემდეგ ამა დადგენილების გამოცემიდან.

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის
სახალხო კომისარი ნაზარეთიანი.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 58 №-ში 1929 წ. მარტის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

47. ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეწაობისათვის წიაღთა სარგებლობის პრინციპების დებულების სამოქმედოდ შემოლების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და გამოქვეყნებულ იქნეს დებულება ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეწაობისათვის წიაღთა სარგებლობის პრიციპების შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულება შემოლებულ იქნეს სამოქმედოდ მისი გამოქვეყნების დღიდან.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულებისა და აგრეთვე სსრ კავშირის

სამთო დებულების (კან. კრებ. 1927 წ. 68 №-რი, მუხ. 688) თანახმად გამოსცენ სამთო კანონები არა უგვიანეს ა/შ. ივნისის 1-სა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. მარტის 4. ტფილისი—სასახლე.

დებულება ა/ქსფსრ ტერიტორიაზე სამთო რეზაობისათ- ვის წილის სარგებლობის პრინციპების შესახებ.

1. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამთო რეზაობისათვის მიწის წიაღის განკარგულებისა და სარგებლობის წესი მოგვარდება სსრ კავშირის სამთო დებულებით (კან. კრებ. 1927 წ. 68 №-რი, მუხ. 688), ამა დებულებით და აგრეოვე ამ დებულების განსავითარებლად გამოცემული ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

2. გეოლოგიური კვლევა, ძებნა, ძიება და საცდელი დამუშავება, რასაც აწარმოებენ ა/ქსფსრ-ისა და ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებანი,—განხორციელდება ა/ქსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სპეციალური კანონებით დადგენილი განსაკუთრებული წესისამებრ.

3. წიაღითა განკარგულება მათი სამთო რეზაობისათვის გამოყენების მხრით, გეოლოგიური კვლევისა და სამრეწველო ძიების ორგანიზაცია ჩვენი ქვეყნის სამთო სიმღიდორეთა გამორკვევის მიზნით, სამთო მრეწველობის ხელმძღვანელობა და მოწესრიგება, სამთო სამუშაოთა სათანადო წარმოებისათვის ზედამხედველობის გაწევა, წიაღითა დაცვა და ცველა სამთო საჭარმოში სტიქიურ უბედურობასთან ზრდოლა—თავმოყრილია ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების გამგებლობაში—ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების დირექტორებით და მისი საერთო ხელმძღვანელობით.

4. ა/ქსფსრ და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესით,—ამა დებულების მე-3 მუხლის გამონაკლისად,—ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების გამგებლობიდან შეიძლება გადაცემულ იქნეს იმავე რესპუბლიკების სხვა ორგანოების გამგებლობაში:

ა) განკარგულება აღვილობრივი მნიშვნელობის მქონე ზოგად-გავრცელებული მაღნეულობის საბადოებისა (მუხ. 9);

ბ) განკარგულება უკვე აღმოჩენილად ცნობილი სამკურნალო წყლებისა და აგრეთვე სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ტალახისა და მარილის საბადოებისა.

ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების გამგებლობაში ამ შემთხვევაშიც დარჩება სამთო სამუშაოთა სისწორით წარმოებისათვის ზედამხედველობის გაწევა და წიაღთა დაცვა.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების გამგებლობის საგანს, კერძოდ, შეადგენს:

ა) ყველა სამთო სიმდიდრის აღნუსხვა სათანადო რესპუბლიკის ფარგლებში;

ბ) რესპუბლიკანური ხასიათის გეოლოგიურ, გეოლოგიურ-საკვლევო და გეოლოგიურ-საძიებლო სამუშაოთა წარმოება;

გ) განკარგულება ყველა წიაღისა როგორც პირველად აღმოჩენლი, ისე უკვე აღმოჩენილი საბადოების მიმართ, გარდა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საბადოებისა და აგრეთვე იმ საბადოებისა, რაც ამა დებულების მე-4 მუხლის წესისამებრ გამორიცხულია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების გამგებლობიდან;

დ) რესპუბლიკანური და აღვილობრივი მნიშვნელობის საბადოების დამუშავებისათვის სასყიდლის რაოდენობის დაწესება (მუხ. 43);

ე) წიაღთა შემოსავლის ხარჯთაღრიცხვის შედგენა და როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკანური მრეწველობის საბადოების შემოსავლის აღნუსხვა;

ვ) სამთო-სასარეწაო ზედამხედველობის განხორციელება.

შენიშვნა. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო მეურნეობის საბჭოების ფუნქციები, გამგებლობის იქ საგანთა ფარგლებში, რაც ამა მუხლით დადგენილია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისათვის,—განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესით—კუთვნილებისამებრ.

6. მე-5 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების შედგენილობაში, ხოლო იქ, სადაც აღნიშნული სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები საჭიროდ სცნობენ,—ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო მეურნეობის საბჭოების შედგენილობაშიც, მოეწყობა სპეციალური სამთო ორგანოები, რომელნიც იმოქმედებენ ცალკე დებულების საფუძველზე.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების სახალხო მეურნეობის საბჭოების სამთო ორგანოების დებულებებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები წინასწარ შეუთანხმებენ ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ხოლო ეს უკანასკნელი—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს,

და დაამტკიცებენ ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი ოესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები — კუთვნილებისამებრ.

სამთო და სამარტენიდერო ოლქების რიცხვება და საზღვრებს დაადგენენ ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი ოესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები — კუთვნილებისამებრ.

7. იმ ადგილების სიას, რომელიც შეკრულია ძებნისა და ძიებისათვის პირველი აღმოჩენის უფლების საფუძველზე, — დაამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ა/ქსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ. აღნიშნული შეთანხმება მოხდება როგორც ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო ოესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს წარდგენით, ისე ა/ქსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საკუთარი ინიციატივით.

8. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი ოესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს უფლება ეძლევათ გამოაცხადონ ცალკე ადგილები ძებნისა და ძიებისათვის პირობით შეკრულად პირველი აღმოჩენის უფლების საფუძველზე, შემდეგი წესის დაცვით: მოსახრებას ამა თუ იმ ადგილის პირობით შეკრულად გამოაცხადების თაობაზე ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო ოესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, იმავე ოესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს მეშვეობით, წარუდგენს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, რათა იგი შემდგომ წარედგინოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, თანახმად სსრ კავშირის სამთო დებულების მე-16 მუხლისა.

9. ის საბადო, რომელიც, სამთო დებულების 19 მუხლის წესისამებრ, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე საბადოებს არ შეიკუთვნება, როგორც საერთო წესი, ცნობილ უნდა იქნეს რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე საბადოდ. რესპუბლიკანური მნიშვნელობის საბადოების ადგილობრივი მნიშვნელობის შექმნე საბადოების კატეგორიისათვის მიკუთვნება მოხდება, ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო ოესპუბლიკის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის წარდგენისამებრ, — ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

10. სსრ კავშირის სამთო დებულების 23 მუხლის „ე“ ლიტერში მოხსენებული მიწის ზედაპირის ცალკე ნაკვეთები, სადაც ძებნა შეიძლება დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოების ნებართვით, ხოლო ძებნა, როდესაც იგი დაკავშირებულია მიწის ქერქის მთლიანობის დარღვევასთან, ამის გარდა — სამთო ორგანოების ნებართვითაც, შეიძლება დამატებით გათვალისწინებულ იქნეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი ოესპუბლიკების სამთო კანონმდებლობის წესით ან სსრ კავშირისა, ა/ქსფსრ-ისა და ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი ოესპუბლიკების მთავრობების განსაკუთრებული დადგენილებებით.

11. იმ ფართობის გვერდების სიგრძე ფარგალით 400 მეტრიდან 1.200 მეტრამდე, მაღნეულობისა და მისი ჩაფენილობის ხასიათის მიხედვით, რომელ ფართობზედაც თვითეულ მძებნელს, სსრ კავშირის სამთო დებულების 24 მუხლის წესისამებრ, აქვს განსაკუთრებული უფლება მიწის სამუშაოების წარმოებისა, — განისაზღვრება ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი ოესპუბლიკების სამთო კანონებით.

12. ძებნისათვის სანებართვო მოწმობების მისაცემად დადგენილია შემდგი წესი:

ა) სამთო ორგანო ძებნითი მუშაობის ნებართვის შესახებ განცხადების მიღებისას, ან მისცემს განცხადებელს ძებნისათვის ნებართვის მოწმობას, ან უარის ეტყვის მას ნებართვის მიცემაზე. მქებნებლის თხოვნით უარის თქმის მოტივი ეცნობება მას წერილობით.

ბ) უკეთუ მქებნებს ნებართვის მოწმობის მიცემაზე უარი ეთქა, მას უფლება აქვს ორი კვირის ვადაზე, უარის მიღების დღიდან, შეიტანოს საჩიგარი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

გ) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო საჩივრის მიღებისას — ერთი თვის ვადაზე აცნობებს მქებნებს თავის გადაწყვეტილებას.

დ) სამთო ორგანო, ვიდრე იგი ნებართვის მოწმობას გასცემდეს, სამი დღის ვადაზე წერილობით შეკითხება იმ ორგანოს, რომლის გამგებლობაშიაც მიწის ზედაპირია, — ხომ არა აქვს რა მას საწინააღმდეგო, რომ უწყებულ ადგილას წარმოებულ იქნეს საძნენო და საძიებლო მუშაობა. შეკითხვაში უნდა აღინიშნოს — სად მდებარეობს ძებნისათვის მოთხოვნილი ადგილი, ვის განკარგულებაში და სარგებლობაშია და როგორ იქნება იგი გამოყენებული.

ე) შეკითხულ ორგანოს შეუძლიან უარი სთქვას მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში:

1) უკეთუ მოთხოვნილ ადგილზე გავრცელებულია სსრ კავშირის სამთო დებულების 23 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით დადგენილი შეზღუდვა;

2) უკეთუ განზრახულ ძებნასა და ძიებას შეუძლიან გამოიწვიოს ისეთი არსებითი მოშლა სასოფლო, საქალაქო, სარკინისგზო თუ სხვა სახელმწიფო მეურნეობისა, რომ მისი წარმოება საერთო-სახელმწიფო ბრივი თვალსაზრისით სრულიად შეუძლებელია.

3) უკეთუ სამთო ორგანო შეკითხული დაწესებულებისაგან არ მიიღებს პასუხს ერთი თვის ვადაზე მისთვის შეკითხების ჩაბარების დღიდან, — იგი გასცემს სანებართვო მოწმობას. ის დაწესებულება, რომელმაც შეკითხვაზე სამთო ორგანოს თავისი დროზე არ უპასუხა, ჰქანავას უფლებას — განაცხადოს პროტესტი როგორც ძებნისათვის, ისე, შემდგომ, ძიებისათვის სანებართვო მოწმობის გაცემის წინააღმდეგ.

ზ) ძებნის სანებართვო მოწმობაში უნდა აღინიშნოს:

1) სწორი სახელმწოდება სამთო მრეწველისა, რომელსაც მოწმობა ეძლევა;

2) სახელდობრ რა და რა სამუშაოს საწარმოებლად არის მიცემული მოწმობა (ჭრილი, შურუფი, ჭაბურღვილი და სხვ.);

3) მოწმობის მოქმედების ტერიტორიალური ფარგლები გეოგრაფიულ კოორდინატებად;

4) რა სახის ნაკვეთისათვის აქვს მოწმობას ძალა (ტყე, სახნავი, საძოვარი, დაუთესავი და უნარგავო ნაკვეთი და სხვ.);

5) სახელდობრ რა მაღნეულობის საბადოს ძებნისათვის არის გაცემული ნებართვა:

6) რა და რა საერთო და სპეციალური მოთხოვნის შესრულებაა საგალდებულო მოწმობაში აღნიშნული ძებნითი სამუშაოების წარმოების დროს;

7) რაოდენობა საწინდარისა, რაც მოწმობის პატრონმა უნდა წარადგინოს იმ ზარალის უზრუნველსაყოფად, რომელიც მისი მუშაობით შეიძლება ნაკვეთის ზედაპირის მოსარგებლეს მოუვიდეს.

შენიშვნა 1. საწინდარის რაოდენობას განსაზღვრავს სამთო ორგანო ნაკვეთის ზედაპირის მოსარგებლეთა შესაძლებელი ზარალის ოდენობის მიხედვით; საწინდარს სამთო მრეწველი შეიტანს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დეპოზიტად მისთვის მოწმობის მიცემამდე; მოწმობის მიცემისას საწინდარი აღნიშნული სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დაუყოვნებლივ გადაიტანება საადგილმამულო კომისიის ან საქალაქო აღმასრ. კომიტეტის დეპოზიტად—კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა 2. სახელმწიფო საწარმო და სახელმწიფო დაწესებულება არ განთავისუფლდება მიწის მოსარგებლისათვის ზარალის ანაზღაურების მოვალეობისაგან, ხოლო ეს საწარმო თუ დაწესებულება საწინდარის შეტანისაგან თავისუფალია.

თ) არც ერთ ორგანიზაციის და პირს,—სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად პასუხისმგებლობის ჩიდავით,—არ შეუძლიან ხელი შეუშალოს მოწმობის მქონეს ამ მოწმობაში აღნიშნულ სამუშაოთა წარმოებისათვის.

ი) სანებართოვო მოწმობაში აღნიშნული სივრცის ზედაპირის ნაკვეთი, რაც არ უნდა დაეტოვოს სამთო მრეწველს ძიებისა და დამუშავებისათვის, ძებნითი სამუშაოების დამთავრებისას, შეძლებისდაგვარად, აღდგენილ უნდა იქნეს წინანდელი სახით; თანაც მიწის მოსარგებლეს უნდა გაესწოროს ანგარიში ძებნით მიყენებული ზიანისა და ზარალის გამო.

შენიშვნა. სამთო მრეწველს დაებრუნება შეტანილი საწინდარი მას შემდეგ, რაც იგი წარადგენს ადგილობრივი აღმასრ. კომიტეტის მიერ დადასტურებულ მოწმობას მიწის მოსარგებლისაგან, რომ ამ უკანასკნელს არა აქვს არავითარი პრეტენზია სამთო მრეწველის მიმართ ძებნით მიყენებული ზარალის გამო. უკეთუ სამთო მრეწველი უარს იტყვის დააქმაყოფილოს განცხადებული პრეტენზია, ეს უკანასკნელი დაითარება საწინდრიდან სათანადო საადგილმამულო კომისიის ან სასამართლი ი დაწესებულების (კუთვნილებისამებრ) გადაწყვეტილების თანახმად.

13. ძებნითი მუშაობის წარმოების დაწერილებითი წესებს დაადგენება/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები—კუთვნილებისამებრ.

14. სსრ კავშირის სამთო დებულების 25 მუხლით გათვალისწინებული გადა ძებნითი მუშაობის ფაქტიურთ წარმოების შეწყვეტისა, რაც გამოიწვევს ძებნის სანებართო მოწმობის მოსკობას, დაღვენილ იქნება ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

15. ნავთის საბადოების ქებნის მიმართ—საძებნელი სივრცის ფარგლები, ნახევარი კვადრატული კილომეტრიდან ერთნახევარ კვადრ. კილომეტრამდე, დადგენილ იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

16. ვადა, ექვსი თვის ფარგლებში, რის განმავლობაშიაც პირველი აღმომჩენი, რომელიც აღმოჩენის ადგილას ჩაგდებს ბომს წარწერით, ვალდებულია, ამის გარდა, წარუდგინოს სათანადო სამთო ორგანოს განცხადება საბადოს აღმომჩენის შესახებ,—განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

17. ამა დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებულ განცხადებაში, რაც სამთო ორგანოს წარედგინება, უნდა აღინიშნოს შემდეგი ცნობები:

ა) პირველი აღმომჩენის გვარი, სახელი და მამის სახელი;

ბ) აღმონახენის, შეძლებისადაგვარად ზედმიწევნითი ადგილაღწერა; თანაც უნდა აღინიშნოს მიწის ყველა მოსარგებლე და იმ მიწის ზედაპირის გამოყენების ხასიათი (სახნავია, მინდორი, თუ სხვა რამ), სადაც აღმოჩენა მოხდა;

გ) აღმოჩენის დრო;

დ) ადგილმდებარეობა განაცხადი ნიშნებისა და მათი აღწერა;

ე) განმცხადებელის მიერ ქებნის დროს წარმოებული ნამუშევარის აღწერა;

ვ) განმცხადებელის ნამდვილი ან იურიდიული მისამართი.

შენიშვნა. განცხადებისათვის გადახდილ უნდა იქნეს სალერბო გამოსალები და მას უნდა დაერთოს ფული პუბლიკაციისათვის.

18. დავა მებნელთა შორის საბადოს აღმომჩენის პირველობის შესახებ განიხილება და გადაწყდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სამთო ორგანოების მიერ—კუთვნილებისამებრ.

მებნელთა პრეტენზიის სისწორეს დაადგენს სამთო ორგანო მებნელთა მიერ შესრულებული ქებნითი სამუშაოების ადგილობრივ დათვალიერებით და სათანადო მოწმების დაკითხვით, აგრეთვე ქებნის ადგილას წასვლის შედეგად მიღებული ცნობების იმ ცნობებთან შედარებით, რაც აღნიშნული იქნება პირველ აღმომჩენთა მიერ ძიებისათვის სანებართვო მოწმობის მიცემის შესახებ, ამა დებულების მე-17 მუხლის თანახმად, წარდგენილ შუამდგომლობაში.

უკეთუ ადგილობრივ წარმოებული დათვალიერებით მიღებული ცნობები ეწინააღმდეგება მე-17 მუხლში აღნიშნული წესისამებრ მიღებულ ცნობებს, უპირატესობა ამ უკანასკნელ ცნობებს ეძლევა.

შენიშვნა. სამთო ორგანოს წარმომადგენელთა ქებნითი სამუშაოების ადგილას წასვლა მოხდება მოდავე პირველ აღმომჩენთა ხარჯით—წასვლის ღირებულების იმ ანგარიშის მიხედვით, რაც აღმომჩენთ წინასწარ ეცნობებათ.

19. სამთო ორგანოს დადგენილება საბადოს აღმომჩენის პირველობის მიკუთვნების შესახებ უკანასკნელ ცნობებს განსაჩივრებულ იქნეს, ერთი თვის ვადაზე დადგენილების გამოტანის დღიდან, სათანადო რესპუბლიკას

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომელიც არა უგვიანეს ორი კვირისა განიხილავს პირველ აღმომჩენთა საჩივარს სამთო ორგანოს გადაწყვეტილებაზე.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საბოლოოა.

20. იმ პირს, რომელიც არაკეთილსინდისიერად აღძრავს დავას აღმოჩენის პირველობის შესახებ, დაედება, სასამართლოს დადგენილების წესისამებრ,—ჯარიმა არა უმეტეს 500 მანერისა.

21. ძიებისათვის სანებართვო მოწმობის მიცემას, მაღნეულის საბადოს აღმოჩენის ნამდვილობისა და პირველობის დადასტურების შემდეგ, აწარმოებენ ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სამთო ორგანოები—კუთვნილებისამებრ,—რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს შემდეგი წესი:

ა) მე-17 მუხლში აღნიშნული განცხადების მიღებისას, სამთო ორგანო დაუყოვნებლივ და აუცილებლად ჩასწერს მას განცხადებათა დავთარში და, განხილავს რა განცხადებას ფორმალურის მხრით, ან სცნობს, რომ იგი არსებითად განსახილვებით და ამ შემთხვევაში გასცემს განკარგულებას, რათა აღგილობრივ გაზრდაში მოხდეს პუბლიკაცია მიღებული განცხადების შესახებ, საქმის გარჩევისა და შესაძლებელი მისაგებელის განხილვის დღის აღნიშვნით, და აგრეთვე გამოჰკიდებს თავის სადგომში სათანადო განცხადებას და იმავე მიზნით შესაფერ ცნობას მისცემს სათანადო აღგილობრივ აღნიშნულებელ კომიტეტებს, ან დაუარს ეტყვის განმცხადებელს ქვემოდ აღნიშნული წესების დაცვით.

ბ) განმცხადებლის თხოვნაზე უარის თქმა, ისე რომ ეს თხოვნა არსებითად განხილულ არ იქნეს, შეიძლება მოხდეს შემდეგ შემთხვევაში:

1) უკეთუ განცხადების შემტან პირს სასამართლოს დადგენილებით ჩამორთმეული აქვს სამთო რეწაობის წარმოების უფლება;

2) უკეთუ განცხადებაში არ არის ამა დებულების მე-17 მუხლში აღნიშნული ესა თუ ის ცნობა;

3) უკეთუ განცხადება შეეხება ისეთ ადგილს, რომელიც წინად მიეცა ვისმე იმავე საბადოს საძიებლად და დასამუშავებლად.

გ) სანებართვო მოწმობის მიცემაზე უარის თქმა შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, სამთო ორგანოს მეშვეობით, ერთი თვის ვადაზე უარის გამოცხადების დღიდან. სამთო მრეწველს, მისი თხოვნით, უარის მოტივები ეცნობება წერილობით.

დ) ერთი თვის განმავლობაში პუბლიკაციის დღიდან (პ. „ა“) ყველა მსურველს უფლება ეძლევა აცნობოს სამთო ორგანოს თავისი შენიშვნები და მისაგებელი განმცხადებელის აღმოჩენის შესახებ.

ე) სამთო ორგანოს შეუძლიან, უკეთუ საჭირო იქნება, ვიდრე იგი საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანდეს, გასინჯოს აღმოჩენის აღგილი ნატურალ განმცხადებლის ხარჯით.

აღგილობრივ წარმოებული გასინჯვის შესახებ შესდგება ოქმი მოწმეების თანადასწრებით.

ვ) იმ შემთხვევაში, როდესაც სამთო ორგანოს წარმომაღგენლისათვის რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელი იქნება დარწმუნდეს ადგილობრივი გასინჯვის მეშვეობით, რომ პირველი აღმომჩენის მიერ განცხადებული მაღნეული ნამდვილად არსებობს, სამთო ორგანოს უფლება ეძლევა აღმოჩენის ნამდვილობა სცნოს მოწმეთა ჩვენების თანახმად.

ზ) მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნება აღმოჩენის პირველობის სინამდვილე და ცნობილ იქნება ყველა მისაგებელის უსაფუძვლობა, უკეთუ ეს მისაგებელი წარდგენილ იყო, სამთო ორგანო გამოიტანს დადგენილებას, რომ განცხადებელს მიეკუთვნოს პირველი აღმოჩენის უფლება მის მიერ განცხადებულ საბადოზე და იმავე დროს განსაზღვრავს საჭინდარის რაოდენობას, რაც სამთო მრეწველმა უნდა შეიტანოს მიწის მოსარგებლეთა იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც შეიძლება მათ საძიებლო მუშაობამ მიაყენოს.

შენიშვნა. საჭინდარი სამთო მრეწველმა უნდა შეიტანოს მისთვის სანებართვო მოწმობის მიცემამდე.

თ) თავის დადგენილებას სამთო ორგანო აცნობებს იმ ორგანოს, რომლის საერთო გამგებლობაშიაც განცხადებული მიწის ზედაპირი არის, და მისცემს პირველ აღმომჩენს ძიების ნებართვის მოწმობას მის მიერ „ზ“ პუნქტში აღნიშნული საჭინდარის შეტანის შემდეგ.

ი) უკეთუ ძიების ნებართვის მოწმობა უნდა გაიცეს ისეთი ადგილისათვის, რომლის ფარგლებშიაც სამთო მრეწველი აწარმოებდა ძებნას წინად მიცემული სანებართვო მოწმობის საფუძველზე, დამატებითი შეთანხმება ძიების ნებართვის მოწმობის მიცემის დროს მიწის ზედაპირის ნაკვეთის შესახებ იმ ორგანოსთან, რომლის გამგებლობაშიაც მიწის ზედაპირია, საჭირო არ არის.

კ) შემდგომი აღმოჩენა იმავე მაღნეულისა იმავე ადგილის ცნობილ იქნება პირველაღმომჩენილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკუთუ ადგილობრივი გასინჯვით ან სხვა რამ საშუალებით გამოირკვეთა, რომ განცხადებული საბაზო იმ ფართობის გარეშეა, რომელიც წინად ძიებისათვის პირველ აღმომჩენს მიეცა.

22. ძიების ნებართვის მოწმობების გაცემას, სსრ კავშირის სამთო დებულების 39 მუხლი აღნიშნული პირობების დაცვით, აწარმოებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სამთო ორგანოები იმ წესითა და იმ ფორმით, რაც დადგენილ იქნება ამ ჩესპუბლიკების სამთო კანონებით.

ოქროს, პლატინისა და პლატინის ჯვეულის ლითონთა მაღანის ძიების საწარმოებლად ნებართვის მოწმობის მიცემისათვის, შორეული და მცირედ დასახლებული ადგილების ნუსხა დადგენილ იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

23. საძიებლო ფართობთა ოდენობა, სსრ კავშირის სამთო დებულების 40 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში, ცალკე სახის მაღნეულობათა მიხედვით, დადგენილ იქნება ცალკე რაიონთათვის და ცალკე მაღნეულთათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

24. საძიებლო მოწმობების მოქმედების ვადა ცალკე მაღნეულთათვის შემდეგია:

ა) უილექრო მაღნეულობისათვის და ოქროს, პლატინისა და პლატინის ჯგუფის ლითონთა მაღნისათვის — 1 წელიწადი.

ბ) მინერალური მიწისქვეშე წყლებისათვის — 2 წელიწადი.

გ) ყველა სხვა მაღნეულისათვის — 3 წელიწადი.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს უფლება ეძლევათ ცალკე ადგილებისათვის აღნიშნული ვადები გაადიდონ შემდეგ ფარგლებში:

ა) უილექრო მაღნეულობისათვის და ოქროს, პლატინისა და პლატინის ჯგუფის ლითონთა მაღნისათვის — 2 წლამდე.

ბ) მინერალური მიწისქვეშე წყლებისათვის — 4 წლამდე;

გ) ყველა სხვა მაღნეულისათვის — 4 წლამდე.

25. ფულადი თახა, რაც პირველი აღმომჩენი ვალდებულია ძიების მთელი ვადის განმავლობაში ყოველწლიურად დახარჯოს საძიებლო ან სხვა სამუშაოზე, რომელიც უშუალოდ მიმართულ იქნება მიცემული საძიებლო სივრცის ღირებულების გასაღიდებლად (კზების გაყვანა, წყალგადასაგდები ნაგებობის მოწყობა და სხვ.), ცალკე მაღნეულთათვის დაწესებულია შემდეგი რაოდენობით:

ა) უილექრო მაღნეულობისათვის და ოქროს, პლატინისა და პლატინის ჯგუფის ლითონთა მაღნისათვის — 500 მან.;

ბ) მინერალური მიწისქვეშე წყლებისათვის — 200 მან.;

გ) ყველა სხვა მაღნეულისათვის — 500 მან.

სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლება ეძლევა (კალკე რაიონებისათვის გაადიდოს აღნიშნული რაოდენობა).

26. ხარჯი სათანადო სამთო ორგანოს წარმომადგენლის ადგილობრივ წასვლისა, რაც დაკავშირებულია ძიების ნებართვის მოწმობის გაცემასთან და უგრევთვე პირველი აღმომჩენის თხოვნით მისთვის მიცემული საძიებლო ფართობის ნატურად შემოსაზღვრასთან, — დაფარულ უნდა იქნეს პირველი აღმომჩენის მიერ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების (კუთვნილებისამებრ) სამთო კანონებით დადგენილ საფუძველზე.

27. იმ მაღნეულობაზე, რაც ამოღებულ იქნება რესპუბლიკანური მნიშვნელობის წიაღის ძიების დროს (პ. 9) სამრეწველო მნიშვნელობის მქონე რაოდენობით, დაწესებულია სახელმწიფოს სასარგებლოდ წილადი ანარიცხი ფაქტიური ამონალებისა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი რაოდენობით სსრ კავშირის სამთო დებულების 82 მუხლით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ცალკე შემთხვევაში უფლება ეძლევათ გაანთვალისუფლონ სამთო მრეწველი ამა მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული ანარიცხის შეტანისაგან.

წილადი ანარიცხის გადახდევინების წესსა და ვადებს დაადგენენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

28. პირველ აღმომჩენს შეუძლიან ძიების ნებართვის მოწმობა გადასცეს სხვა პირს მარტოლდენ სანოტარო წვსით, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს სსრ კავშირის სამთო დებულების 50 მუხლით გათვალისწინებული პირობები.

29. ვადა პირველი აღმომჩენისათვის მიცემული ადგილიდან,—უკეთუ იგი ძიებას საბოლოოდ შესწყვეტს,—მის მიერ აგებული შენობებისა, გაწყობილობისა და მისი კუთვნილი სხვა ქონების გამოზიდვისა, რაც შორეული და მცირედდასახლებული ადგილებისათვის დადგენილია სსრ კავშირის სამთო დებულების 51 მუხლით,—შეიძლება ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით განვირობილ იქნეს ერთ წლამდე.

30. სსრ კავშირის სამთო დებულების 53 მუხლით გათვალისწინებული წესი—სამთო ორგანოების მიერ განცხადებათა და ძიების ნებართვის მოწმობათა გაცემის აღნუსხვის წარმოებისა—დადგენილ იქნება ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების ინსტრუქციებით.

31. სსრ კავშირის სამთო დებულების 54 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტში აღნიშნული პირობების დაფგომის გამო ძიების ნებართვის მოწმობის ძალადაკარგულად ცნობა მოხდება სამთო ორგანოს დადგენილებით, რომელიც ერთი თვის ვადაზე შეიძლება განსააჩივრებულ იქნეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

იმავე მუხლის (54) „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ძიების ნებართვის მოწმობის ძალადაკარგულად ცნობა მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილების წესით, რისთვისაც სამთო ორგანო წარადგენს სარჩელს სათანადო სასამართლო დეწესებულებაში.

32. სსრ კავშირის სამთო დებულების 56 მუხლის მე-2 აზაკით გათვალისწინებული საზღვრები სამთო-სამრეწველო რაიონებისა და აგრეთვე მაქსიმალური რიცხვი სამთო-საძიებელო ფართობთა, რაც შეიძლება ამა თუ იმ რაიონში ერთი პირის განკარგულებაში იყოს, რაოდენობით არა უმეტეს 10-სა, დადგენილ იქნება ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

33. სსრ კავშირის სამთო დებულების 63 მუხლით გათვალისწინებული მაქსიმალური რიცხვი მისახენი სამთო ნაკვეთებისა, რაც შეიძლება პირველ აღმომჩენს მიეცეს მის მიერ ნაძიები მაღნეულის საბაზოს დასამუშავებლად ძიების ერთი სანებართვო მოწმობით, არა უმეტეს ოთხისა, მაღნეულის სახისა და იმ რაიონის მიხედვით, სადაც იგი არის, დადგენილ იქნება ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

34. სსრ კავშირის სამთო დებულების 70 მუხლით გათვალისწინებული გადაცემა და დაგირავება მიჩნილი სამთო ნაკვეთებისა მოხდება სანოტარო წესით, რაც შემდგომ უნდა აღინიშნოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო ორგანოს სათანადო დავთრებში.

35. სსრ კავშირის სამთო დებულების 72 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოები, რომლის მიხედვითაც პირველ აღმომჩენს უფლება ეძლევა განსაკუ-

თრებული ნებართვის გარეშე და უსასყიდლოდ დაამუშაოს ზოგად-გავრცელებული მადანის საბაზო, განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

36. სსრ კავშირის სამთო დებულებულების 74 მუხლით გათვალისწინებული რაოდენობა ნაკვეთის მიხენის ყოველწლიური სპეციალური სასყიდლისა, რაც უნდა შეიტანოს პირველმა აღმომჩენმა, რომელსაც მაღნეულის ფაქტიური ამოღება არ დაუწყია ან რომელმაც ეს ამიღება შეაჩერა,—განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

იმავე მუხლით (74) გათვალისწინებული ვადა, რომლის გასვლისას პირველ აღმომჩენს დაეკისრება მოვალეობა ყოველწლიურად დახარჯოს განსაზღვრული ფულადი თანხა მიხენილი ნაკვეთის ღირებულების გასაღიდებლად, და აგრეთვე აღნიშნული თანხის რაოდენობა— განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

37. სამთო დებულების 75 მუხლით გათვალისწინებული უფლება, რომლის ძალითაც პირველ აღმომჩენს ეძლევა განწესი სავალდებულო მინიმალური ამოღების წარმოებისათვის, იმ პირობით, რომ ნაკვეთის დამუშავების უფლება შემდგომ ევენტუალურად მიქცეულ იქნეს საჯარო ვაჭრობით გასაყიდად, ეკუთვნის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს.

განწესების მიცემისა და საჯარო ვაჭრობის წარმოების წესებს დაადგენს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

38. სამთო დებულებას 80 მუხლით გათვალისწინებული ფორმა და წესი— პირველი აღმომჩენის მიერ ამოღებული მაღნეულის რაოდენობის აღნუსხვისა— დადგენილ იქნება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ.

39. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების წარდგენით, სათანადო რესპუბლიკების ეკონომიური საბჭოს დადგენილებით და აგრეთვე ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით, ახლად აღმოჩენილი საბაზო შეიძლება ცნობილ იქნეს განსაკუთრებულ სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საბაზოთ და დატოვებულ იქნეს სახელმწიფოს განკარვულებაში სამთო ნაკვეთების პირველი აღმომჩენისათვის მიუკემლად— სსრ კავშირის სამთო დებულების 81 მუხლში აღნიშნული პირობების დაცვით.

40. ნაკვეთის საბაზოს დასამუშავებლად მიჩენილი ერთი სამთო ნაკვეთის სივრცე, არა უმეტეს იმ სივრცის $\frac{1}{15}$ ნაწილისა, რაც ნაკვეთის საბაზოს ძიებისათვის გაიცემა, განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების (კუთვნილებისამებრ) სამთო კანონებით.

41. პირველი აღმომჩენის უფლების საფუძველზე ოქროს, პლატინისა და პლატინის ჯგუფის ლითონთა მაღანის დამუშავებისათვის სამთო ნაკვეთების მისაჩენად— შორეული და მცირედ დასახლებული ადგილების ნუსხა დადგენილ იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

42. მინერალური წყლების ექსპლოატაციისათვის მისაჩენი სამთო ნაკვეთის სივრცე, ერთი ჰექტარიდან ორ ჰექტარამდე, წყლის საბაზოს ხასიათის მიხე-

დვით, განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

43. ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავების წარმოების უფლებისათვის სასყიდლის რაოდენობის განსაზღვრის წესი მოვარებულ იქნება სსრ კავშირის სამთო დებულებით.

ვიღრე ხელშეკრულებით დამუშავების უფლების სასყიდლის რაოდენობა განისაზღვრებოდეს ან ამ სასყიდლისაგან სამთო მრეწველი განთავისუფლდებოდეს (სსრ კავშირის სამთო დებულების 88 და 89 მუხლები), სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო—საკავშირო მნიშვნელობის იმ საბადოების მიმართ, რაც ა/კსფსრ ტერიტორიაზეა, —და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები—რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საბადოების მიმართ—აცნობებენ: პირველი—სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, ხოლო მეორენი—სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს—ხელშეკრულებით დასადგენი სასყიდლის ნავარაუდევ რაოდენობას, ამ რაოდენობის დასაბუთებით.

უკეთუ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი არ გაიზიარებს სასყიდლის ნავარაუდევ რაოდენობას, საკითხი საბოლოოდ გადაწყდება სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოში.

44. სსრ კავშირის სამთო დებულების 92 მუხლით გათვალისწინებული წესი და ვადები ხელშეკრულების საფუძველზე წარმოებული დამუშავებისათვის სასყიდლის გადახდევინებისა, არა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საბადოების მიმართ, განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

45. სსრ კავშირის სამთო დებულების 98 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების გარდა, სხვა სამუშაოები, რომლის მიხედვითაც სამთო მრეწველს ხელშეკრულების საფუძველზე დეტალური ძიებისა ან დამუშავებისათვის მიცემული საბადოს სივრცეზე ნება ეძღვევა უსასყიდლოდ ამოილოს ზოგად-გავრცელებული მაღნეული,—განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით.

46. სამთო დებულების 100 მუხლით გათვალისწინებული დაგირავება დამუშავების უფლებისა მოხდება მარტონოდენ სანოტარო წესით, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით დადგნენილი განსაკუთრებული წესები.

47. დაწვრილებითი წესები, ხელშეკრულების საფუძველზე, საბადოების დეტალური ძიებისა და დამუშავებისათვის გაცემის შესახებ დადგენილ იქნება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ.

48. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამთო კანონებით, კერძოდ, მოწესრიგდება შემდეგი საკითხები:

ა) სამთო რეწაობისათვის საჭირო მიწის ზედაპირის ნაკვეთების შესახებ,

რაც ჩამოთვლილია 105 მუხლის „ბ“ ლიტერში, 108 მუხლის „ბ“ ლიტერში და 112 მუხლში და

ბ) მეზობლად მყოფ სამთო მრეწველთა ურთიერთობის შესახებ, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის სამთო დებულების 125 მუხლში,

49. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოების მიერ, კერძოდ, მოწესრიგდება საკითხები:

ა) სამთო რეწაობისათვის საჭირო მიწის ზედაპირის ნაკვეთების შესახებ, რაც ჩამოთვლილია 105 მუხლის მე-2 ნაწილში, 107 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ლიტერში და 16 მუხლში და

ბ) სამთო-სარეწაო ზედამხედველობის შესახებ, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის სამთო დებულების 134 მუხლში.

50. სამთო-სარეწაო ზედამხედველობის ფუნქციების შესრულება—რესპუბლიკანური და ადგილობრივი საბადოების მიმართ (სამთო დებულების 130 მუხლი)—დაეკისრება ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს—კუთვნილებისამებრ.

51. დავა სამთო მრეწველთა და მიწის მოსარგებლეთა შორის, რაც აღიძგრის მიწის ზედაპირის ნაკვეთების გამოყენების ნიადაგზე, გადაწყდება იმ წესით, რომელიც ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილია საადგილმამულო დავის გადაწყვეტისათვის.

52. დავა ურთიერთი უფლებების განხორციელებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ საბადოს მომიჯნავე სივრცეზე მომუშავე სამთო მრეწველთა შორის და იმ სამთო მრეწველთა შორის, რომელიც ერთსა და იმავე სივრცეზე სხვადასხვა მაღნეულის საძიებლად მუშაობენ,—გადაწყდება საერთო-სასამართლო წესით.

53. დავა იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც მოუვა როგორც მიწის მოსარგებლეს, ისე სამთო მრეწველს მათი უფლებების ურთიერთი შეზღუდვის გამო, გადაწყდება საერთო-სასამართლო წესით.

დადგენილება № 112 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

48. მშენებლობის სატეხნიკო კომიტეტების სახელწოდების შეცვლის შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 10-ს თარიღისა და 9 №-ის დადგენილების (ა/ქსფსრ კან. კრებ. 1927 წ. № 6, მუხ. 67) ნაწილობრივ შესაცვლელად—ა/ქსფსრ უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოსთან არსებულ სატეხნიკო კომიტეტს ეწოდოს ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტი.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 10-ის თარი-
ლისა და 10 №-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1927 წ. № 7, მუხ. 70)
ნაწილობრივ შესაცვლელად—მშენებლობის სატეხნიკო კომიტეტის ა/კსფსრ შედ-
გენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ეწოდოს სამშენებლო-სატეხნიკო კომი-
ტეტები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოაღილე დ. ჰუსეინოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1928 წ. მარტის 7. ტფილისი—სასახლე.